

10

The KARTVELOLOGIST
JOURNAL OF GEORGIAN STUDIES

ქართველოლოგი



IN THE ISSUE:

- Verses in Translation: Galaktion Tabidze
- The Fourth international Symposium on Kartvelian Studies
- Homer, Aristotle and Rustaveli
- "Georgian Literature in European Scholarship"

ნომერშია:

- გალაკტიონის ლექსები ინგლისელი ქართველოლოგის თარგმანით
- საზღვარგარეთული ქართველოლოგია
- „შიში შეიქმს სიყვარულსა“

ISSN 1512-1188

ISSN 1512-1188

ქართველოლოგი

THE KARTVELOLOGIST

JOURNAL OF GEORGIAN STUDIES

10

SPRING

2003

**PUBLISHED BIANNUALLY BY THE CENTRE FOR
KARTVELIAN STUDIES
TBILISI STATE UNIVERSITY**

In a broad sense Kartvelology embraces study of Georgian culture, history and all fields of the humanities: linguistics, literary criticism, art, archaeology, folklore, ethnography, source study.

Georgia, Sakartvelo, successor to ancient Colchis and Iberia, lies at the boundary of Europe and Asia, east of the Black Sea, in the southwestern part of the Caucasus.

The Kingdom of Kartli – referred to in Classical sources as Iberia – emerged at the turn of the 4th-3rd cent. B.C., approximately on the territory of modern Georgia. The recorded history of the country dates from that time.

Interest in Kartvelian problems commenced in Europe in the 17th century. In the 19th century the French scholar Marie Brosset, the German scholar Arthur Leist, the English brother and sister Wardrops, and others laid the scholarly foundation for this activity, contributing to the West's broader familiarity with Kartvelology.

Over the last decades the interest of the humanities in the key points of Kartvelology has been increasing, viz. in the problems of Georgian ethnogenesis, medieval Georgia in the context of cultural and political relations with Western and Eastern countries; the originality of the Georgian parent language and its relation to the families of Indo-European and Semitic languages; Georgian mythos and the Georgian-Caucasian world in Classical mythology; direct or typological relations of the rich Georgian literary culture to Byzantine and Eastern literature, to the European Renaissance thought, and Modern European literature, etc.

Editorial Staff: ELGUJA KHINTIBIDZE (Editor)
ARRIAN TCHANTURIA

Honorary Editorial Board:

- Winfried Boeder (Germany)
- Bernard Outtier (France)
- Luigi Magarotto (Italy)
- Steffi Chotiuary-Jünger (Germany)

CONTENTS

GEORGIAN LITERATURE IN ENGLISH TRANSLATIONS

Verses in Translation: **Galaktion Tabidze** in **Donald Rayfield's** English Translation.....5

ENCYCLOPEDIAIC REVUE

Elguja Khintibidze - Georgian Studies Abroad (in Georgian).....22

CHRONICLE OF EVENTS

"Georgian Literature in European Scholarship" (In English).....56

The Fourth International Symposium on Kartvelian Studies (in Georgian).....59

SCHOLARSHIP: THE HIGHEST EXPRESSION OF THE GEORGIAN PHENOMENON

Zaza Khintibidze - Homer, Aristotle and the Compositional Peculiarity of the Development of the Subject in *The Man in the Panther's Skin* (in English and in Georgian).....65

Elguja Khintibidze - The Rustavelian Interpretation of the Virtue of Fear of God and Medieval European Patristics (in English).....89

ს ა რ რ ე ვ ი

ქართული ლიტერატურა ინგლისურ თარგმანებში

გალაკტიონ ტაბიძე დონალდ რეიფილდის თარგმანში.....5

სამეცნიერო მიმოხილვა

ელგუჯა ხინთიბიძე - საზღვარგარეთული ქართველოლოგია (ქართულ ენაზე).....22

ქართველოლოგიური ძრონიკა

„ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში“ (ინგლისურ ენაზე).....56

მეოთხე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი (ქართულ ენაზე).....59

სამეცნიერო თემატიკა - რუსთველოლოგია

ზაზა ხინთიბიძე - პომეროსი, არისტოტელე და სიუჟეტის განვითარების კომპოზიციური თავისებურება „ვეფხისტყაოსანში“ (ინგლისურ და ქართულ ენებზე).....65

ელგუჯა ხინთიბიძე - ღვთისმოსიშების სათნოების რუსთველური ინტერპრეტაცია და შუასაუკუნეების ევროპული პატრისტიკა.....89

Honorary Editorial Board:

- Wolfgang Iser (Germany)
- Bernard Guihard (France)
- Luigi Morgante (Italy)
- Stefan Christen (Germany)

VERSES IN TRANSLATION

GALAKTION TABIDZE IN DONALD RAYFIELD'S ENGLISH TRANSLATION

Galaktion Tabidze is one of the greatest phenomena of Georgian poetry. Since the 1920s his poems have become part of modern Georgian classic literature. Strange to say, but his poetry is still unknown to the European reader.

In this issue we present the Georgian and English parallel texts of several poems by Galaktion Tabidze in the translation of Donald Rayfield, a well-known English Kartvelologist. The English translation was first published in Tbilisi in 1975.



GALAKTION TABIDZE - Sketch by the artist Mamia Malazonia, inscribed by Galaktion Tabidze, 1956.

მე და ღამე

ეხლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუალამე იწვის, დნება,
სიო, სარკმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება.

მთვარით ნაფენს არემარე ვერ იცილებს ვერცხლის საბანს,
სიო არხევს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს.

ცა მტრედისფერ, ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი,
ისე არის სავსე გრძნებით, ვით რითმებით ეს წერილი.

საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული,
ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული.

დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ,
არ ვუმჯღავენებ ქვეყნად არვის, ნიაფსაც კი არ ვაკარებ.

რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული.

ვერ მომპარავს ბნელ გულის ფიქრს წუთი წუთზე უამესი,
საიდუმლოს ვერ მომტაცებს ქალის ხვევნა და ალერსი.

ვერც ძილის დროს ნელი ოხვრა, და ვერც თასი ღვინით
სავსე,

ვერ წამართმევს მას, რაც გულის ბნელ სიღრმეში
მოვათავსე.

მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ.

იცის – როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვევენ და ვეწამე.
ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე : მე და ღამე, მე და ღამე!

I AND NIGHT

As this very line is written, midnight's candle flares and gutters,
The breeze brings through my open window stories that the
meadow utters.

The moonlit world attempts in vain to shed its covering of
silver,
The breeze before my window makes the lilac gently sway and
shiver.

Dove-gray, glaucous beams transect and illuminate the sky,
Making it as full of magic as this letter is of rhyme.

The outside world is softly shrouded in mysterious rays of light,
Overflowing with its feelings, like my heart this sleepless night.

For many a year my heart has kept deeply hidden my darkest
secret.
Nothing, not the breeze, may touch it, no one here will hear me
speak it.

Of the anguish in my heart, what can any friend suspect?
How can he know the things that lie buried in my heart's dark
depth?

Even the most ecstatic moment cannot steal a thought from
inside the darkness of my heart, nor can the arms or touch of
woman.

Neither languid sleepy sighs, nor a chalice full of wine
Can unloose what I have locked deep down in this heart of
mine.

Through my window, sleepless, radiant, only night is entering.
Night alone knows of my secret, insomniac night knows every
thing.

Night knows that I am an orphan, spent, exhausted, agonized.
Two of us exist on the earth: I and night, I and night.

უსიყვარულოდ

უსიყვარულოდ
 მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
 სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება
 სასიხარულოდ...
 უსიყვარულოდ არ არსებობს
 არც სილამაზე,
 არც უკვდავება არ არსებობს
 უსიყვარულოდ.
 მაგრამ სულ სხვაა სიყვარული
 უკანასკნელი,
 როგორც ყვავილი შემოდგომის,
 ხშირად პირველს სჯობს,
 იგი არ უხმობს ქარიშხლიან
 უმიზნო ენებებს,
 არც ყმაწვილურ ჟინს, არც ველურ ხმებს,
 იგი არ უხმობს...
 და შემოდგომის სიცივეში
 ველად გაზრდილი,
 ის გაზაფხულის ნაზ ყვავილებს
 სულაც არა ჰგავს...
 სიოს მაგიერად ქარიშხალი
 ეალერსება
 და ენების ნაცვლად უხმო ალერსს
 გარემოუცავს.
 და ჭკნება, ჭკნება სიყვარული
 უკანასკნელი,
 ჭკნება მწუხარედ, ნაზად, მაგრამ
 უსიხარულოდ.
 და არ არსებობს ქვეყანაზე
 თვით უკვდავება,
 თვით უკვდავებაც არ არსებობს
 უსიყვარულოდ!

WITHOUT LOVE

Without love
 No sun rules the heavens,
 No breeze blows, no forest tremors
 For joy...
 Without love there exists
 Neither beauty,
 Nor immortality, which exists
 Only with love.
 But quite another love
 Is last love.
 Like flowers of autumn it often
 Outdoes first love.
 It arouses no stormy, rough and
 Aimless passions.
 No youthful lusts or savage voices
 Does it arouse...
 Growing in the open air
 In autumnal cold,
 It is unlike the tender
 Flowers of spring...
 It relishes not gentle breezes,
 But the stormwind.
 Not passions, but voiceless caresses
 Encircle it.
 And love fades, fades away if
 It is last love,
 Fades sadly, tenderly and yet
 Without joy.
 For nowhere on earth is there
 Immortality,
 And immortality cannot exist
 Without love!

თოვლი

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
 ქალწულებივით ხიდიდან ფენა,
 მწუხარე გრძობა ცივი სისოვლის
 და სიყვარულის ასე მოთმენა.
 ძვირფასო! სული მევესება თოვლით:
 დღეები რბიან და მე ვბერდები!
 ჩემს სამშობლოში მე მოველე მხოლოდ
 უდაბნო ლურჯად ნახავერდები.
 ოჰ! ასეთია ჩემი ცხოვრება:
 იანვარს მოძმედ არ ვეძინებები,
 მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება
 შენი თოვლივით მერთალი ხელები.
 ძვირფასო! ვხედავ... ვხედავ შენს ხელებს,
 უღონოდ დახრილს თოვლთა დაფნაში.
 იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს
 შენი მანდილი ამ უდაბნოში...
 ამიტომ მიყვარს იისფერ თოვლის
 ჩვენი მდინარის ხიდიდან ფენა,
 მწუხარე გრძობა ქროლის, მიმოვლის
 და ზამბახების წყებად დაწვენა.
 თოვს! ასეთი დღის ხარებამ ლურჯი
 და დაღალული სიზმრით დამთოვა.
 როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,
 როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!
 არის გზა, არის ნელი თამაში...
 და შენ მიდიხარ მარტო, სულ მარტო!
 მე თოვლი მიყვარს, როგორც შენს ხმაში
 ერთ დროს ფარული სევდა მიყვარდა!
 მიყვარდა მაშინ, მართობდა მაშინ
 მშვიდი დღეების თეთრი ბროლები,
 მინდვრის ფოთლები შენს დაშლილ თმაში
 და თმების ქარით გამოქროლება.
 მომწყურდი ეხლა, ისე მომწყურდი,
 ვით უბინაოს – ყოფნა ბინაში...

თეთრი ტყეების მიმყვება გუნდი
 და კვლავ მარტო ვარ მე ჩემს წინაშე.
 თოვს! ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი
 და დაღალული ფიფქით დამთოვა.
 როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი!
 როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!

White forests follow me in a throng
 As a homeless wanderer's for a home.
 A trust has come over me, a thirst as strong
 The wind that blew your hair in a stream.
 Your hair that the leaves of the meadow dishevelled,
 Quiet days passed, a crystal white dream.
 Then I was drunk in love and fevered
 That secret melancholy tone.
 I loved in your voice – as I love the snow –
 And you walk alone, always alone
 There is a way, a game, but slow
 If the wind would leave me and cease to blow
 Have snowed me down. Still falls the snow
 With dust, and tremors this day's dead things
 A row of the blown down, outstretched
 A feeling of grief, of howling, of swaying
 Spread of snow from our river banks
 That's why I love the violet virgin
 Dies out and leaves, bright but brief.
 Now, in the desert, your mantle fans up
 Your weak arms drooping in snowy wastes
 Darling! I see I look I stare at
 As white as snow, your pallid arms
 But eternally I shall remember
 January and I are on good terms
 Alas! My life begins and ends there:
 My country – a velvet desert of dust
 All I have done is explore stone
 The days left past and I age too.
 Darling! My soul is filling with snow
 In patient love's entrancing spirit
 The sad wet coldness that I feel swaying
 Spread to snow from our river banks

SNOW

I deeply love the violet virgin
 Spread of snow away from the bridge,
 The sad wet coldness that I feel surging
 In patient love's enduring spirit.
 Darling! My soul is filling with snow.
 The days flit past and I age too.
 All I have done is explore alone
 My country – a velvet desert of blue.
 Alas! My life begins and ends there:
 January and I are on good terms
 But eternally I shall remember,
 As white as snow, your pallid arms.
 Darling, I see, I look, I stare at
 Your weak arms drooping in snowy wreaths.
 Now, in the desert, your mantle flares up,
 Dies out and flashes, bright but brief.
 That's why I love the violet virgin
 Spread of snow from our river bridge,
 A feeling of grief, of blowing, of swirling,
 A row of iris, blown down, outstretched.
 With blue, tired dreams this day's glad tidings
 Have snowed me down. Still falls the snow.
 If the wind would leave me and cease to blow.
 There is a way, a game, but slow...
 And you walk alone, always alone.
 I loved in your voice – as I love the snow –
 That secret melancholy tone.
 Then I was drunk, in love and fevered:
 Quiet days passed, a crystal white dream:
 Your hair that the leaves of the meadow disheveled,
 The wind that blew your hair in a stream.
 A thirst has come over me, a thirst as strong
 As a homeless wanderer's for a home.
 White forests follow me in a throng:

Again my self and I are alone.
 With blue, tired snowflakes such a day's tidings
 Have snowed me down. Still falls the snow.
 If winter would somehow leave me behind it,
 If the wind would leave me and cease to blow.

სილაჟვარდუ ანუ პარდი სილაჟი

დედაო ღვთისაჲ, მზეო მარიაჲ !
როგორც ნაწვიმარ სილაჟი ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდუ.

შემოიღამებს მთის ნაპრალები,
და თუ ოდესმე ისევ გათენდა –
ღამენათევი და ნამთვრალევი,
დაღლილ ქალივით მივალ ხატებთან.

ღამენათევი და ნამთვრალევი
მე მივეყრდნობი სალოცავ კარებს,
შემოიჭრება სიონში სხივი
და თეთრ ოლარებს ააელვარებს.

და მაშინ ვიტყვი: აჰა! მოვედი
გული დაჭრილი ოცნების ბალით!
შეხედე! დასტკბი ყმაწვილურ ბედის
დაღლილ ხელებით, წამებულ სახით.

შეხედე! დასტკბი! ჩემი თვალები,
წინათ რომ ფუტქდნენ ცვრებით, იებით,
ღამენათევი და ნამთვრალევი
სავსეა ცრემლთა შურისძიებით!

დასტკბი! ასეა ყველა მგოსნები?
შენს მოლოდინში ასეა ყველა?
სული, ვედრებით განაოცები,
შენს ფერხთქვეშ კვდება, როგორც პეპელა.

სად არის ჩემთვის სამაგიერო?
საბედნიერო სად არის სული?
ვით სამოთხიდან აღიგიერი,
მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული!

და როცა ბედით დაწყველილ გზაზე
სიკვდილის ლანდი მომეჩვენება,
განსასვენებელ ზიარებაზე
ჩემთან არ მოვა შენი ხსენება!

დაეიკრეფ ხელებს და გრიგალივით
გამაქანებენ სწრაფი ცხენები!
ღამენათევი და ნამთვრალევი
ჩემს სამარეში ჩავესვენები.

დედაო ღვთისაჲ, მზეო მარიაჲ!
როგორც ნაწვიმარ სილაჟი ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდუ!

AZURE-LAND, OR ROSE IN SAND

Ave Maria, Virgin immaculate!
 As, after rain, a rose in sand,
 Life's path is a mirage I battle at,
 The faraway sky's far azure-land.

Mountain chasms are wrapped in half-light.
 Can I believe another dawn likely?
 Worn out with wine and sleepless nights,
 Weary as woman, I'll go to the icons.

Worn out with sleepless nights and with wine,
 Collapsed on the altar I'll free my soul.
 A beam will shine and cut into Sion,
 Irradiate the priest's white stole.

Then shall I say: "Here I am, hearken:
 Look down, be comforted, maidenly Parca
 With agonized face and hands that are wan.

Look down. Be comforted. My eyes, once bright,
 Used to pulse with dew and violets,
 Worn out with wine and sleepless nights,
 Now weep a threnody of vengeful violence.

Be comforted then... Must every poet
 Waiting for thee surrender utterly?
 My soul is stunned: prayers destroy it,
 It dies at your feet, a short-lived butterfly".

Where shall I find a fair redress?
 What soul is certain to be well?
 From Dante Alighieri's paradise
 I'm barred by purgatory and hell.

And when on a road accursed by fate
 I finally see the shade of death,
 At the last communion rite
 Thy name will be on no-one's breath.

Arms crossed in peace, I shall be borne
 By horses on a tempest blast.
 With wine and sleepless nights forlorn
 The grave will give me rest at last.

Ave Maria, Virgin immaculate!
 As, after rain, a rose in sand,
 Life's path is a mirage I battle at,
 The faraway sky's far azure-land.

ქარი ჰქრის...

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრის ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?...
როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,
ვერ გპოვებ ვერასდროს... ვერასდროს!
შენი მე სახეა დამდევს თან
ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!...
შორი ცა ნისლიან ფიქრებს სცრის...
ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის!...

Then shall I say: "Here I am, hearken:
Look down, be comforted, maidenly Parca
With agonized face and hands that are wan.
Look down, be comforted, My eyes, once bright,
Used to pulse with dew and violets,
Worn out with wine and sleepless nights,
Now weep a throng of vengeful violence.
Be comforted then... Must every poet
Waiting for thee surrender utterly?
My soul is stinned: prayers destroy it
It dies at your feet, a short-lived butterfly.
Where shall I find a fair redress?
What soul is certain to be well?
From Dante Alighieri's paradise
I'm barred by purgatory and hell.

THE WIND BLOWS

Oh the wind, how it blows, how it blows.
The wind whirls the leaves off afar,
Arches trees, trees in rank, trees in hosts.
Tell me where, where you are, where you are.
How it rains, how it snows, how it snows.
You're not to be found any more.
Your image pursues me, it haunts
Everywhere, every day, every hour.
From the sky drizzle far misty thoughts,
Oh the wind, how it blows, how it blows.

Who said anything about your
No, this is the day that you
You're going...
No other shelter could be vengeful
you.
Who said you never had a home
No, now at last you've found
your
You're going...
Beautiful and unique
You have been lodged by
You are the lodger of

მიდიხარ... ისე მიგაქვს
 წვალება,
 თითქო ზღვის კარად თივას
 თიბავდე,
 ვინა თქვა შენი
 გარდაცვალება?
 არა, სწორედ დღეს შენ
 დაიბადე.

მიდიხარ... აღარ
 დაგემდურება
 არც მიწიერი, არც
 ზეციერი,
 ვინა თქვა შენი
 უბედურება?
 არა, სწორედ დღეს ხარ
 ბედნიერი.

მიდიხარ... ტკბილი გქონდეს
 მგზავრობა,
 სხვა ბინა მარად იყო
 ზღაპარი.
 ვინა თქვა შენი
 მიუსაფრობა?
 არა, შენ კპოვე
 თავშესაფარი.

მიდიხარ... შენს ბედს ბევრი
 ინატრებს
 მშვენიერს, ბედი სხვა
 არსად არი,
 შენ სივრცეებმა
 დაგაბინადრეს –
 შენ უკვდავების
 ხარ ბინადარი.

You're going... and you carry
 your distress,
 Scything grass by the sea,
 as it were.
 Who said anything about your
 decease?
 No, this in fact is the day of
 your birth.

You're going... Earth's, heaven's
 accidents
 Cannot upset you, no matter
 what happens.
 Who said anything about your
 lucklessness?
 No, this is the day that you
 are happy.

You're going... may you enjoy an easy
 journey:
 No other shelter could be vouchsafed
 you.
 Who said you never had a home
 to turn to?
 No, now at last you've found
 your refuge.

You're going... many would envy your
 fate's
 Beautiful and unique
 fatality.
 You have been lodged by open
 space –
 You are the lodger of
 immortality.

საზღვარგარეთული ქართველოლოგია¹

საქართველო უძველესი დროიდან ფიგურირებდა ძველი ბერძენი და რომაელი მწერლების, უპირატესად ისტორიკოსების და გეოგრაფების თხზულებებში. უძველესი სახელმწიფოების კოლხეთისა და იბერიის და ცალკეული სხვა ქართველური ტომების შესახებ ცნობები გვხვდება ძველ ბერძენ მწერლებთან: პეროდორე, პიპოკრატე, ქსენოფონტი, არისტოტელე, სკილაქს კარიანდელი, ლიკოფრონი, კალიმაქე, თეოკრიტე, აპოლონიოს როდოსელი, სკიპონოს ქიოსელი, პოლიბიოსი, დიონისოს პალიკარნასელი, დიოდორე სიცილიელი, ნიკოლოზ დამასკელი, მემნონი, სტრაბონი, იოსებ ფლავიუსი, პლუტარქე, ფლავიუს არიანე, აპიანე, ლუკიანე, კლავდიუს ელიანუსი². ძველი რომაელი ისტორიკოსები – პლინიუს უფროსი, ტაციტუსი, ამიანე მარცელინუსი, დიონ კასიუსი – იბერიასა და კოლხეთზე გვაწვდიან გეოპოლიტიკურ და ეთნიკურ ცნობებს, უპირატესად რომის სპარტეთთან და კავკასიასთან სამხედრო ურთიერთობის კონტექსტში³.

უფრო მდიდარია ცნობები შუასაუკუნეების საქართველოზე, დაცული ბიზანტიური პერიოდის ბერძნულენოვან მწერლებთან:

¹ წინამდებარე საეციკლოპედიო ნარკვევი საზღვარგარეთულ ქართველოლოგიაზე შეიქმნა ძირითადად მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ჩემი რედაქციით გამოქვეყნებულ ბიბლიოგრაფიულ მონოგრაფიაზე დაუდნობით „ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში“ (ქართ. რედაქცია – თბილისი 2003წ. ინგლ. რედაქცია – ამსტერდამი 2001წ.) 0. ამიტომაც საზღვარგარეთული ქართველოლოგების შრომების ზუსტი ბიბლიოგრაფიული მითითება სქოლიოებში გამოტანილი არ არის. ამგვარი ლიტერატურა მითითებულია ძირითადად ისტორიის, ხელოვნების, ენათმეცნიერების დარგებში. რამდენადაც ისინი ზემოთ დასახელებულ ლიტერატურათმცოდნეოლოგიით მონოგრაფიაში შეტანილი არ არის.

² იხ. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., I, 1967; II, 1969; III, 1976; IV, 1980; V, 1983; VI, 1987. აპოლონიუს როდოსელი (ა. ურუშაძის თარგმანი), თბ., 1948. პლუტარქე რჩეული ბიოგრაფიები (ა. ურუშაძის თარგმანი), თბ., I, 1957; II, 1987. აპიანე მითითებულია ბიბლიოგრაფიაში (თ. ყაუხჩიშვილის გამოცემა), თბ., 1959. სტრაბონის გეოგრაფია ცნობები საქართველოს შესახებ (თ. ყაუხჩიშვილის გამოცემა), თბ., 1957. «პეროდორეს ცნობები საქართველოს შესახებ» (თ. ყაუხჩიშვილის გამოცემა), თბ., 1960. «პიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ» (თ. ყაუხჩიშვილის გამოცემა), თბ., 1965. თ. მიქელაძე, ქსენოფონტის «ანაბასისი», თბ., 1967.

³ იხ. G. Shurghaia, Italian-Language Kartvelology and Georgian Literature. In: "Georgian Literature in European Scholarship" (Edited by E. Khintibidze), Amsterdam 2001, p. 123-125.

ბიზანტიე რომაელი, ევგვი კესარიელი (და მისი "საეკლესიო ისტორიის" ლათინურად გადაკეთებული რუფინუსი), კესარიოს ნაზიანზელი, ეპიფანე კვირიელი, თემისტოხი, ლიბანიოსი, გელასი კესარიელი, თეოდორიტე კვირიელი, სოკრატე სქოლასტიკოსი, ერემია სოზომენე, პრისკე პანიონელი, ზოსიმე; იუსტინიანე იმპერატორი, პროკოპი კესარიელი, იოანე ლიდუსი, ზაქარია რიტორი, აგათია სქოლასტიკოსი, პეტრე პატრიკოსი, მენანდრე პროტიკტორი, თეოფანე ბიზანტიელი, იოანე მალალა, სტეფანე ბიზანტიელი, ევაგრე სქოლასტიკოსი, იოანე ანტიოქელი, თეოფილაქტე სიმოკატტა, თეოდოსი განგრელი, ეპიფანე კონსტანტინეპოლელი, გიორგი სინგელოზი, თეოფანე ემთავისმწერელი, ბასილი სოფენელი, ნიკოლოზ მისტიკოსი, კონსტანტინე პორფიროგენეტი, გიორგი ამარტოლი; დიონ გრამატიკოსი, გიორგი კედრენე, ნიკიფორე ვრიენოსი; მიქელ ასელოსი, მიხეილ ატალიატე ანა კომნენე, ნიკეა ხონიატე, იოანე კინამოსი, გიორგი კოდინე, კონსტანტინე მანასე; იოანე ცმცმ, გიორგი პახიმერე, ნიკიფორე ქსანთოპულოსი, ნიკიფორე გრიგორასი, მიქელ პანარეტოსი; ევსტათი თესალონიკელი, თეოდორე ბალსამონი, დუკა, გიორგი სფრანძესი, ლაონიკე ხაღკოკონდიდე. დასახელებულ ბიზანტიელ მწერალთა (და აგრეთვე ბიზანტიური ეპოქის სხვა ანონიმ ავტორთა) ცნობები ძველ საქართველოსთან დაკავშირებულ ძალზე ფართო სფეროს მოიცავენ: მითოსური ცნობები ქართველურ ტომებზე, საქართველოს ცალკეული კუთხეების ისტორიის, გეოგრაფიის და ეთნიკური შემადგენლობის საკითხები, ქართული ეკლესია, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება, ქართველი მეფეები, ომები სპარსეთის წინააღმდეგ, ქართველები ბიზანტიის იმპერიაში, ქართველები ბიზანტიის ჯარში და სხვა მრავალი⁴.

ბიზანტიურ ეპოქაში იწყება ქართული აგიოგრაფიული მწერლობის თარგმნა ბერძნულ და შემდეგ ბერძნულის გზით ლათინურ და სხვა ევროპულ ენებზე. უპირველეს ყოვლისა, მოხსენიებულ უნდა იქნას მედიევისტიკაში პოპულარული თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ XII-XVI საუკუნეების ევროპაში უაღრესად პოპულარული აგიოგრაფიული მოთხრობა "ვარლაამი და იოასაფი" წარმოადგენს ქართული "ბალავარიანის" ბერძნული გადაშენების (შესრულებულს X-XI საუკუნეების ქართველი

⁴ იხ. "გეორგია", I (აღ. გამყრელიძისა და ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა), თბ. 1961; "გეორგია" (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა), II, 1934; III, 1936; IV, 1, 1941; IV, 2, 1952; V, 1963; VI, 1966; VII 1967; VIII 1970.

ავტორის ევთიმე ათონელის მიერ) ლათინურ თარგმანს⁴. ჩვენამდე მოღწეულია ქართული ორიგინალური აგიოგრაფიული თხზულების – გიორგი მცირის “გიორგი ათონელის ცხოვრების” ერთი მონაკვეთის XII საუკუნეში შესრულებული ბერძნული და ლათინური თარგმანები⁵.

შემდგომში, XIII საუკუნიდან, მონღოლთა დაპყრობების გამო საქართველოს თანდათანობით მოწყვეტამ ევროპული ცივილიზაციის პროცესიდან და XV საუკუნეში ბიზანტიის იმპერიის დაცემამ ევროპელთა ყურადღება საქართველოდან დიდხანს ჩამოაშორა.

XIII-XV სს. საქართველოზე მოკლე და ფრაგმენტული ცნობებია შემონახული ევროპელ ჯვაროსანთა (ოლივერიუსი, თიტმარი, ვ. ალაში) და ადრინდელ მოგზაურთა ჩანაწერებში (ფლამანდიელი ჰილელმ რუბრუკი – XIII ს.; იტალიელი მარკო პოლო – XIII-XIV სს.; გერმანელები – შტილტ ბერგერი - XIV-XV სს. და ბერნარდ ფონ ბრაიდენბახი – XV ს., ესპანელი რუი გონსალეს დე კლაიხო – XV ს.). უფრო თანმიმდევრულია XV საუკუნის იტალიელი მოგზაურების ცნობები საქართველოზე (კატარინო ზენო, იოსაფატ ბარბარო, ამბროჯიო კონტარინი).

საქართველოსადმი საზღვარგარეთის საზოგადოებრივი ინტერესის გამოცოცხლებას ხელი შეუწყო ქართველ მეფეთა აქტიურმა პოლიტიკამ ევროპის ქვეყნებთან და რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად და მათგან პოლიტიკური, ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერის მისაღწევად. ჩვენამდე მოღწეული ცნობების თანახმად ევროპაში ელჩებს აგზავნიდნენ ქართველი მეფეები: რუსუდანი (XIII ს.), კონსტანტინე II (XV ს.), სიმონ I (XVI ს.), თეიმურაზ I (XVII ს.), ვახტანგ VI (XVII ს.). მეორე მხრივ, ქართველი მეფეები (თეიმურაზ I, არჩილ I, ვახტანგ VI) ამალით მიდიოდნენ რუსეთის მეფის კარზე, მოსკოვში და იქ ქართულ კოლონიებს აარსებდნენ.

ევროპის ხელახალი დაინტერესება საქართველოთი XVII საუკუნის I ნახევრის იტალიაში იწყება. იგი განპირობებული იყო რომის კათოლიკური ეკლესიის მისიონერული ინტერესებით. ეს ინტერესები გამოვლინდა, ერთი მხრივ, რომში პროპაგანდა ფიდეს

⁴E. Khintibidze, *Georgian-Byzantine Literary Contacts*, Amsterdam, 1996, pp. 192-292

⁵E. Khintibidze, *The View of a Georgian Holy Father on the Greek-Roman Ecclesiastical Split in a 13th-century Latin Collection*. In: “The Kartvelologist”, 6, 2000, pp. 22-29.

წმინდა კონგრეგაციის სტამბაში 1629 წელს პირველი ქართული წიგნების დაბეჭდვით, რომელთა შედგენაში მონაწილეობდა თეიმურაზ პირველის ელჩი ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ირუბაქიძე-ხოლოვაშვილი). ეს წიგნებია: “იბერიული, ანუ ქართული ანბანი ღვთის ლოცვანითურთ”, “ქართული და იტალიური ლექსიკონი” (ნიკიფორე ირბახის დახმარებით სტეფანო პაოლინის მიერ შედგენილი), “ლიტანია ღაურეტანა” (ნიკიფორე ირბახის მიერ ლათინურიდან ქართულად თარგმნილი ლოცვა ლორეტოს ნეტარი ქალწული მარიამისი). მეორე მხრივ, რომის ეკლესიის მიერ საქართველოში წარმოგზავნილი მისიონერი მამების მრავალწლიანი მოღვაწეობის შედეგად ევროპაში მრავალი ფასეული ცნობა შევიდა ქართველთა ყოფის, ისტორიის, ენისა და რელიგიის შესახებ. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია პიეტრო ავიტაბილეს, არქანჯელო ლამბერტის, ჯუზეპე ჯუდინეს, ანტონიო ჯარდინას, დონ კრისტოფორო დე კასტელის, ანდრეა ბორომეოს, ფრა რეჯინალდო და ლენტინის ჩანაწერები, ჩანახატები და მოხსენებები ბარათები რომის პაპებისადმი. XVII ს. 50-იან წლებში იტალიაში გამოქვეყნდა არქანჯელო ლამბერტის წიგნები “სამეგრელოს აღწერა” და “წმინდა კოლხიდა”. უფრო ადრე 1627 წ. რომში იბეჭდებოდა იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს დიდი რუდუნებით შესრულებული ჩანაწერები საქართველოზე. ამავე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში იწერება ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის “მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში”, რომელშიც დიდ ადგილს იჭერს საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებები. შევსებული ძველ ავტორთა ცნობებით საქართველოს შესახებ.

XVII საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს ევროპაში გახმაურდა ქართველი დედოფლის ქეთევანის სპარსეთში მოწამებრივი აღსასრულის ამბავი. 1633 წელს ოქსფორდში ინგლისურ ენაზე იბეჭდება ამ ამბის ამსახველი ბერი გრეგორიუსის წერილი. 1657 წელს გერმანელი დრამატურგი გრიფიუსი გამოსცემს გალექსილ ტრაგედიას “ქართველი ქალი კატარინა, ანუ ნაცადი სიმტიცე”. რომელიც დიდხანს იდგმებოდა ევროპის სცენებზე.

იტალიელ მისიონერთა ნაწერებმა საქართველოზე, ანტიკური მითოლოგიის კოლხეთის დასავლეთ საქართველოში მოაზრებამ, ქეთევან დედოფლის მოწამებრივმა აღსასრულმა საქართველოს თემა დაამკვიდრა XVII-XVIII საუკუნეების ევროპულ მხატვრულ ლიტერატურაში. ეს თემატიკა თავდაპირველად ემყარებოდა ანტიკური მწერლობის ცნობებს საქართველოზე და

აღმოსავლური წარმოშობის ზღაპრულ გადმოცემებს; ამდენად საქართველოს ისტორიულ, გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ ფაქტებს ნაკლებად ასახავდა: ინგლისელი დრამატურგების ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლენერის “მეფე და არამეფე” (XVII ს.); ფრანგი მწერლების ჟელე დე ლა ტესონრის “სუთი ვნების ტრიუმფი” (XVII ს.) და კლოდ-პროსპერ კოლიო დე კრებილონის “რადამისტი და ზენობია” (XVIII ს.); ინგლისელი სენტიმენტალისტის უილიამ კოლინსის “აბრა, ანუ სულთანის ქართველი მეუღლე” (XVIII ს.). XVIII ს. იტალიელი დრამატურგების კარლო გოლდონის “მშვენიერი ქართველი ქალი” და კარლო გოცის “ქალი-გველი” და “ლურჯი ურჩხული”; გერმანელი მწერლის მაქსიმილიან კლინგერის “მედეა” (XVIII ს.); XVII საუკუნის ფრანგი მწერლების ჟან ბატისტა შვერემონის ნოველები ქართველ ქალებზე, ანტუან ლე კამიუს “აბდეკერი, ანუ სილამაზის შენარჩუნების ხელოვნება”, მარმონ დიუ ოშანის “რეტიმა, ანუ მშვენიერი ქართველი ქალი”⁶. საქართველოს და ქართულ თემატიკას პოპულარულს ხდიან XVIII და XIX საუკუნეების ევროპელი განმანათლებლები და ფილოსოფოსები: ფრანგული ენციკლოპედია დენი დიდროს რედაქციით; ვოლტერის “ესეები ზნეობის შესახებ”; შარლ ლუი მონტესკიეს “სპარსული წერილები”; ლესინგის “მინა ფონ ბარნჰელმი”; ვინკელმანი; თომას მური; იმანუელ კანტი.

ქართველოლოგიური საქმიანობის ჩასახვაზე ევროპაში XVII საუკუნიდან შეიძლება ვილაპარაკოთ. ამ მიმართულებით რამდენიმე ფაქტზე შეიძლება გამახვილდეს ყურადღება. 1608 წ. ნიურნბერგში გამოქვეყნდა სოლომონ შვაიგერის კონსტანტინეპოლსა და იერუსალიმში მოგზაურობის ჩანაწერები, რომელშიაც მოკლე ცნობებია საქართველოზე, ქართულ ენაზე და დაბეჭდილია ქართული ანბანი. ესაა ქართული შრიფტის სტამბური გამოყენების პირველი ნიმუში. შემდგომში როგორც აღინიშნა, ეს ანბანი რომში ცალკე წიგნად იბეჭდება (1629). რასაც რომში იმავე “პროპაგანდა ფიდეის კონგრეგაციის” სტამბაში 1643 წელს ლათინურ ენაზე დასტამბული ფრანცისკო მარია მაჯოს “ქართული გრამატიკა” მოჰყვა. ეს იყო ქართული ენის პირველი გრამატიკა. იტალიაში იმავე მისიონერების მოღვაწეობით ქართული ენის სხვა ლექსიკონებიც და გრამატიკებიც შეიქმნა, რომლებიც დღემდე ხელნაწერებითაა მოღწეული. ამ თვალსაზრისით საგანგებოდ აღსანიშნავია ნეაპოლში დაცული ბერნარდო ნეაპოლელის (XVII

⁶ იხ. Н. Орловская, Грузия в литературах Западной Европы XVII—XVIII веков, Тб., 1965.

ს. II ნახევარი) არქივი, რომელშიც ქართული ენის ლექსიკონებსა და გრამატიკის სახელმძღვანელოებს გარდა XVII საუკუნეში საქართველოში ჩაწერილი ქართული ზღაპრების ტექსტებიც ინახება.⁷ ქართული ანბანის გამოქვეყნება და ქართული ლექსიკონების შედგენა XVII საუკუნის ევროპაში გრძელდება. მნიშვნელოვანია ამსტერდამში ჰოლანდიურ ენაზე გამოცემული ნიკოლას ვიტსენის წიგნი “ჩრდილო და აღმოსავლეთ თათრეთი” (1692 წ.; II გამოცემა – 1705 წ.), რომელშიც ქართული ანბანი, ქართული წერის ნიმუში და ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონია შეტანილი. როგორც ჩანს, ნიკოლას ვიტსენი კონსულტაციებს იღებს არჩილ მეფის მოსკოვის ქართული კოლონიის წარმომადგენელთაგან. XVII საუკუნის ევროპაში სხვა გამოცემებშიც გვხვდება მწირი ქართველოლოგიური ცნობები: ჰოლანდიელი გეოგრაფის ოლფერტ დაპერის “ახია” (ამსტერდამი, 1672 წ.), ინგლისელი აღმოსავლეთმცოდნის ტომას ჰაიდის “ძველი სპარსელების რელიგიის ისტორია” (ოქსფორდი, 1700 წ.).

უფრო მწკობრი ქართველოლოგიური ცნობების გამოქვეყნება ევროპაში XVIII საუკუნის დასასრულიდან იწყება. პირველი ნაბიჯები ევროპული ქართველოლოგიისა გარდა XVII საუკუნის ევროპელი მოგზაურებისა და იტალიელი მისიონერებისა ეფუძნება 1709 წელს თბილისში ვახტანგ VI-ის მიერ დაარსებულ ქართულ სტამბაში დაბეჭდილ ქართულ წიგნებს და მოსკოვში 1743 წელს ვახტანგის შვილის ბაქარის მიერ გამოცემულ ქართულ ბიბლიას. საზღვარგარეთულ პუბლიკაციათაგან პირველი მეტ-ნაკლებად მეცნიერული ხასიათის ქართველოლოგიური ცნობები გერმანელ აღმოსავლეთმცოდნეებთან გვხვდება. ი. ადლერი (“ველიტრის ბორჯების ხელნაწერთა მუზეუმი”, რომი, 1782 წ.) გაშიფრავს მუზეუმის კოლექციაში დაცულ XII–XIII საუკუნეების ქართულ-არაბული მონეტების წარწერებს და იძლევა ზოგად ცნობებს საქართველოზე (ქართული ანბანი, “ბიბლია”, “ქართლის ცხოვრება”). ი. ადელუნგი (“მითრიდატე, ანუ საყოველთაო ენათმეცნიერება”, ბერლინი, 1806 წ.) მსჯელობს ქართულ ენაზე არსებულ სასულიერო მწერლობაზე, გრამატიკულ ლიტერატურასა და ქართული წიგნის ბეჭდვაზე; ლაპარაკობს სულხან-საბა ორბელიანსა და ანტონ კათალიკოსზე. უფრო მნიშვნელოვანია ევროპელი მეცნიერის პირველი ქართველოლოგიური წიგნი – “ქართული ლიტერატურის შესახებ” (ვენა, 1798), რომლის ავტორია

⁷ მ. ჩიქოვანი, მე-17 საუკუნეში ჩაწერილი ქართული ზღაპრები. – «მრავალთავი», I, თბ., 1964, გვ.61-205

გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე ფრანც კარლ ალტერი. ალტერი მსჯელობს ქართულ ანბანზე და სასულიერო მწერლობაზე. ადარებს ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანს ბერძნულს, სომხურს და რუსულს. ღპარაკობს ქართველურ ენებზე (მეგრულსა და სვანურზე) და მათ მიმართებაზე ქართულ ენასთან. უფრო პოპულარული აღმოჩნდა კიევის მიტროპოლიტის ევგენი ბოლხოვიტინოვის მიერ პეტერბურგში 1802 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებული მონოგრაფია “საქართველოს ისტორიული აღწერა, პოლიტიკური, საეკლესიო და სამეცნიერო მდგომარეობით”. ეს წიგნი ფ. შმიდტის მიერ ძალიან მაღე ითარგმნა და გამოიცა გერმანულ ენაზე (რივა-ლაიბნიცი, 1804) და მან დიდი გავლენა მოახდინა ევროპაში ქართველოლოგიური კვლევის დაწყებაზე.

თანმიმდევრული მეცნიერული ქართველოლოგიური მუშაობა ევროპაში იწყება XIX საუკუნის პირველ მეოთხედში დაარსებულ “საახიო საზოგადოებაში” (პარიზი, 1822წ.; ლონდონი, 1823წ.) და ლონდონში დაარსებულ ბიბლიურ საზოგადოებაში. საახიო საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი ანტუან ჟან სენ მარტენი “საახიო ჟურნალში” უკვე 1823 წ. ბეჭდავს მოხსენებას ქართული ლიტერატურის მიმოხილვაზე. 1816 და 1820 წლებში ლონდონის ბიბლიური საზოგადოებისადმი გამოქვეყნებულ ორ პატაკში ინგლისელი მეცნიერი პინკერტონი იძლევა ცნობებს ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაზე და ათონის მთის ქართულ ხელნაწერებზე. 1830-იან წლებში ბრიტანეთის მუზეუმი შეიძენს პირველ ქართულ ხელნაწერებს.

1825 წ. პარიზის “საახიო საზოგადოების” წევრად ირჩევენ მარი ფელისიტე ბროსეს (1802-1880), რომლის სახელთანაა დაკავშირებული ევროპასა და რუსეთში ქართველოლოგიის სისტემური მეცნიერული კვლევის დაწყება. ბროსე უკვე XIX საუკუნის 20-იან წლებში აქვეყნებს გამოკვლევებს ქართული ლიტერატურის შესახებ პარიზში “ახალი საახიო ჟურნალის” ფურცლებზე. 1837 წელს ბროსეს აირჩევენ სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა სამეფო აკადემიის წევრად. იგი გადმოსახლდება რუსეთში, გვერდში ამოიყენებს ქართველ სწავლულებს და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასა და უნივერსიტეტთან ჩამოაყალიბებს საქართველოს ისტორიის, კულტურის, ლიტერატურის და ენის მკვლევართა ჯგუფს. მის გვერდით თავდაპირველად დგებიან მისი უფროსი მეგობარი თეიმურაზ ბაგრატიონი და მოწაფე დავით სუბინაშვილი. მ. ბროსემ 1841-42 წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში წაიკითხა ქართული ფილოლოგიის კურსი. 1841

წ. ამავე უნივერსიტეტში შემოიღეს ქართული ენის სწავლება, რომლის პირველი ლექტორიც იყო დ. ჩუბინაშვილი. ქართული ფილოლოგიის განვითარებას პეტერბურგის უნივერსიტეტში შემდგომში სათავეში ჩაუდგებიან ალექსანდრე ცაგარელი და ნიკო მარი. პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის შემდგომი გაზრდისა და გაფართოების შედეგად 1918 წლიდან მეცნიერული კვლევის ცენტრის თბილისში გადატანით მიადწია ქართველოლოგიამ განვითარების თანამედროვე დონემდე. ქართველოლოგიის განვითარება ევროპაში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დიდადაა დაავლებული ჯერ პეტერბურგის და შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის ქართველოლოგიურ მიღწევებზე.

მ. ბროსე იკვლევდა როგორც საქართველოს ისტორიის, ასევე ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებს. მან ფრანგულად თარგმნა და გამოსცა “ქართლის ცხოვრება”, ვახუშტი ბაგრატიონის “აღწერა სამეფოისა საქართველოსი”. მანვე გამოსცა ფრანგულად “ქართული ენის გრამატიკა” (პარიზი, 1834) და “ელემენტები ქართული ენისა” (პარიზი, 1837). განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წვლილი ძველი ქართული საერო ლიტერატურის შესწავლაში. მან პირველმა გააცნო ევროპას “ვეფხისტყაოსნის” შინაარსი. იგი არის პოემის ქართული ტექსტის დამდგენელი და გამომცემელი (სანკტ-პეტერბურგის 1841 წ. გამოცემა); პოემის შემსწავლელი XII ს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ფონზე და ამით “ვეფხისტყაოსნის” ნაციონალურ-აღგორიული ინტერპრეტაციის თეორიის ფუძემდებელი. იგი იკვლევს კლასიკური პერიოდის ქართული საერო მწერლობის სხვა ძეგლებსაც, აღორძინების ხანის მწერლებსაც და მის თანამედროვე ქართულ ლიტერატურასაც. მას ფრანგულად უთარგმნია ილია ჭავჭავაძის “კაცია-აღამიანი”.

მ. ბროსეს მოღვაწეობის პარალელურად ქართველოლოგიური მუშაობა გაიშალა ინგლისშიც. სოლომონ სიზარ მალნი (1812-1894) და უილიამ რიჩარდ მორფილი (1834-1909) ქართულ ენას სწავლობენ საქართველოში და კონტაქტს ამყარებენ XIX საუკუნის ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან. ს. ს. მალანი ინგლისურად თარგმნის და გამოსცემს პლატონ იოსელიანის “საქართველოს ეკლესიის ისტორიას” და გაბრიელ ვპისკოპოსის “ქადაგებებს”. უ. მორფილი იკვლევს ქართული ენის საკითხებს და ქართული ლიტერატურის ისტორიის საერთო პროცესს, აქვეყნებს სამეცნიერო რეცენზიებს მნიშვნელოვან ქართველოლოგიურ ნაშრომებზე. XIX ს. დასასრულს

ქართველოლოგიური საქმიანობა ინგლისში ახალ დონეზე აიყვანეს და-ძმა უორდროპებმა. ოლივერ უორდროპი (1864-1948) იყო ბრიტანეთის სამეფოს წარმომადგენელი რუსეთში. იგი დაინტერესდა ქართული კულტურით და ეს ინტერესი და სიყვარული გადასდო თავის დას მარჯორი სკოტ უორდროპსაც (1869-1909). უორდროპებმა შეისწავლეს ქართული ენა, იმოგზაურეს საქართველოში, ახლოს გაეცნენ ქართველ ხალხს და დაუმეგობრდნენ ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს. ო. უორდროპმა 1888 წელს ლონდონში გამოაქვეყნა წიგნი "საქართველოს სამეფო. მოგზაურობა ქალების, ღვინისა და სიმღერების ქვეყანაში", რომელმაც ძალზე დიდი როლი შეასრულა ინგლისში ქართული სამეაროს პოპულარიზაციაში. მარჯორი და ოლივერ უორდროპების ერთობლივი თარგმანია "წმინდა ნინოს ცხოვრება", ოლივერმა თარგმნა და გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის "სიბრძნე სიცრუისა", "ვისრამიანი", "გიორგი მესუთის კანონები", აღ. ცაგარელის მეორე შედგენილი ათონის ივირონის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. მარჯორიმ თარგმნა ქართული ხალხური ზღაპრები, ილია ჭავჭავაძის "განდევილი", და. რაც მთავარია, "ვეფხისტყაოსანი". მარჯორის თარგმნილი "ვეფხისტყაოსანი" დაიბეჭდა მისი გარდაცვალების შემდეგ, ო. უორდროპის რედაქციითა და წინასიტყვაობით (ლონდონი, 1912). ამ თარგმანს მიუძღვის ყველაზე დიდი წვლილი მსოფლიოში რუსთველის პოემის პოპულარიზაციაში. საქართველოში ყოფნისას ქართველმა ხალხმა უორდროპებს დიდძალი ლიტერატურა უსახსოვრა. მათ თვითონაც შეიძინეს ქართული წიგნები და ხელნაწერები, რაც შემდეგ ბოდლის ბიბლიოთეკას შესწირეს. ამის საფუძველზე ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის განყოფილებაში დღესაც არსებობს ქართულ წიგნთა და ხელნაწერთა მდიდარი კოლექცია. უორდროპებმა ქართული კულტურით და ქართველოლოგიური მეცნიერებით დაინტერესეს ფრედერიკ კონიბერი და ჯეიმზ ბადელი. ფ. კონიბერი (1856-1924) წარმატებით იკვლევდა ქართულ სასულიერო მწერლობას (ქართული "ახალი აღთქმის" გენეზისისა და "ბალავარიანის" საკითხები) ხოლო ჯ. ბადელის წიგნი კავკასიაზე (ოქსფორდი, 1940) საინტერესო მასალას გვაწვდის საქართველოს არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის შესახებ. საქართველოს ისტორიის შესწავლას XX საუკუნის დიდ ბრიტანეთში ტონს აძლევს უილიამ ედუარდ დევიდ ალენის (1901-1973) ფუნდამენტური ნაშრომი "ქართველი ხალხის ისტორია დასაწყისიდან XIX საუკუნეში რუსეთის მიერ ქვეყნის დაპყრობამდე" (ლონდონი, 1932).

აღსანიშნავია მისივე "რუსეთის ელჩობები ქართველ მეფეთა კარზე, 1589-1605" (ლონდონი, 1970). უ. ალენი იყო ერთ-ერთი ინიციატორი (ქართველ ემიგრანტ ა. გუგუშვილთან ერთად) ლონდონში ქართველოლოგიური სამეცნიერო ჟურნალის "გეორგიკის" დაარსებისა (1935-37 წწ.), რომელმაც ევროპაში ქართველოლოგიური კვლევის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მრავალმხრივი იყო ლონდონის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკისა და აფრიკათმცოდნეობის ინსტიტუტის კავკასიოლოგიის კათედრის გამგის დევიდ მარშალ ლანგის ქართველოლოგიური მოღვაწეობა (1924-1992). იგი ლონდონის უნივერსიტეტში ასწავლიდა ქართულ ენას და კითხულობდა ლექციებს საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის არსებით პრობლემებზე. ინგლისელ მეკლავართაგან ყველაზე პროდუქტიული ქართველოლოგი სწორედ ლანგია. იგი ინგლისურ ენაზე თარგმნის ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლებს ("ქართველ წმინდანთა ცხოვრებები და ლექსები", 1956 წ.; "სიბრძნე ბალავარიანის", 1957 წ.; "წმინდა იოდასაფის ცხოვრება", 1966 წ.). წერს გამოკვლევებს ქართული "ბალავარიანის" საკითხებზე; აქვეყნებს მონოგრაფიებს საქართველოს ისტორიის საკითხებზე ("ქართველები", 1966; "საქართველოს ახალი ისტორია", 1962 წ.); ბეჭდავს ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კოლექციითა აღწერილობებს ("ქართველოლოგია ოქსფორდში", 1955 წ.; "ბრიტანეთის მუზეუმის ქართული და სხვა კავკასიური ნაბეჭდი წიგნების კატალოგი", 1962 წ.). ძალზე ფასეულია კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის მორის ბაურას (1898-1974) ნარკვევები რუსთველის «ვეფხისტყაოსანზე» (« საგმირო პოეზია », 1952 წ.; "მთავონება და პოეზია", 1955 წ.). წარმატებით იკვლევს ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებს საღვთო წერილის სხვა უძველეს რედაქციითა პარალელურებით ბირმინგემის უნივერსიტეტის პროფესორი ნევილ ბერძოლი. ძველ ქართულ საერო მწერლობის ძეგლებს ინგლისურად თარგმნის და იკვლევს რობერტ სტივენსონი ("ამირანდარეჯანიანი", 1958 წ.). 1977 წელს ნიუ-იორკში დაიბეჭდა « ვეფხისტყაოსნის » მის მიერ შესრულებული თარგმანი. ამავე წელს ლონდონში დაისტამბა "ვეფხისტყაოსნის" ქეთრინ ვივიანისეული თარგმანი. ქეთრინ ვივიანმა გამოსცა აგრეთვე "სიბრძნე-სიცრუისას" (1982 წ.) და "ქართლის ცხოვრებიდან" ლაშა გიორგის პერიოდის (1991 წ.) ინგლისური თარგმანები. "ქართლის ცხოვრების" შუა საუკუნეებში შესრულებული სომხური გადამწავება ქართული და სომხური პარალელური ტექსტებით და გამოკვლევით გამოაქვეყნა ოქსფორდელმა პროფესორმა რობერტ ტომსონმა (ოქსფორდი, 1996 წ.). ფართო მთარგმნელობით და

ლიტერატურულ-კრიტიკულ მოღვაწეობას ეწევა ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი დონალდ რეიფილდი. მას ინგლისურად აქვს თარგმნილი ვაჟა-ფშაველას პოემები, გალაკტიონ ტაბიძის ლექსები. იკვლევს ქართველ ცისფერყანწელთა შემოქმედებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონოგრაფია "ქართული ლიტერატურა. ისტორია" (1994 წ.; მეორე გამოცემა 2000 წ.). წარმატებით იკვლევს საქართველოს ისტორიის ადრინდელ პერიოდს (VI ს. ძვ. წ. - VI ს. ახალი წ.) პროფესორი დევიდ ბრაუნდი ("საქართველო ანტიკურ ხანაში. კოლხეთისა და ამიერკავკასიის იბერიის ისტორია", ოქსფორდი, 1994).

ქართველოლოგიის ევროპელი მამამთავრის მ. ბროსეს მოღვაწეობა მყარ საფუძველს ქართველოლოგიური კვლევა-ძიებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთში ქმნიდა. ბროსეს მოღვაწეობამდე ფრანგულ ენაზე საქართველოს შესახებ სამეცნიერო წრეებს ძალზე ფასეულ ცნობებს აწვდიდა ორიოდე ნაშრომი: ევგენი ბოლხოვიტინოვის წიგნის მალტ-ბრენის მიერ შესრულებული დაწერილებითი მიმოხილვა, გამოქვეყნებული 1810 წელს და 1816 წელს პამბურგში ანონიმურად გამოცემული ფრანგული „წერილები კავკასიიდან და საქართველოდან...“, რომლის ავტორებია ცოლ-ქმარი ფრეიგანგები. ამ წიგნში ცნობები საქართველოს ისტორიაზე, ძველ ქართულ ლიტერატურაზე, ფილოსოფიაზე, არქიტექტურაზე და ქართულ ენაზე იმდენად მიმზიდველად შეხამებული რომანულ თხრობასთან, რომ იგი ძალზე პოპულარული იყო და მალე ითარგმნა ინგლისურ (1823 წ.) და გერმანულ (1826 წ.) ენებზე. საქართველოს ისტორიაზე, ლიტერატურაზე, რუსთველზე ფრანგულ ენაზე ცნობებს აქვეყნებენ ევროპელი მოგზაურები: ე. შტაკელბერგი (1847 წ.), მ. ტიელმანი (1876 წ.), ე. ორსოლი (1885 წ.). XIX საუკუნის დასასრულს ფრანგულ ენაზე ქართველოლოგიური საქმიანობა თბილისშიც დაიწყო. ფრანგი ორიენტალისტი ფ. მურიე თბილისში აარსებს ფრანგულენოვან ჟურნალს "Le Caucase Illustré" (1889-1902), თარგმნის ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის ნიმუშებს, წიგნად აქვეყნებს რეცენზიას „ვეფხისტყაოსნის“ იონა მუნარგიასეულ ფრანგულ თარგმანზე. 1886 წ. პარიზში (და შემდეგ თბილისში) ქვეყნდება "ვეფხისტყაოსნის" ფრანგული გარდათქმა შესრულებული აშა ბოგნის (გრაფი ალექსანდრე ბობრინსკი) მიერ. ამავე პერიოდში ფრანგი მოგზაური ბარონ დე ბაი პარიზში რამდენიმე წიგნს აქვეყნებს საქართველოზე: "საქართველოში" (1898 წ.); "კავკასიონის ქედს სამხრეთით" (1899 წ.); "თბილისი" (1900

წ.); "იმერეთში" (1902 წ.); "აფხაზეთში" (1904 წ.). XIX საუკუნის დასასრულს საქართველოს ისტორიას, ქართულ ლიტერატურას დაწერილებით მიმოხილავს თავის სამოგზაურო ჩანაწერებში ეკატერინე დადიანის მძახალი, ჰერცოგ დე როჰანის მეუღლე; თავის საინტერესო ცნობებს ქართულ ლიტერატურაზე იღია ჭაუჭავაძის, აკაკი წერეთლის და რაფიელ ერისთავის ლექსების თარგმანებს ურთავს. XX საუკუნის დასაწყისიდან ფრანგი მკვლევარები ქართული ენისა და ლიტერატურის უფრო თანმიმდევრულ მიმოხილვას აქვეყნებენ. აღსანიშნავია ე. კიუნეს წიგნი ქართული ენისა და ანბანის წარმოშობის, რუსთველის შესახებ (ჟენევა, 1920 წ.). 1934 წელს ჟ. კარსტი ძველი ქართული ლიტერატურის მიმოხილვას ცდილობს წიგნში «ქართული ქრისტიანული ლიტერატურა». ახალ სიმაღლეებზე აჰყავს ფრანგულენოვანი ქართველოლოგია ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეს მ. ბრიერს. 1931 წ. პარიზში ნ. მართან ერთად იგი აქვეყნებს ქართული ენის სახელმძღვანელოს. უფრო მოგვიანებით ძველ ქართულ ბიბლიურ ტექსტებს: ლუკას სახარება (პარიზი, 1955); წინასწარმეტყველთა წიგნები (პარიზი, 1961 წ. შ. მერსიესთან ერთად); იოანეს სახარება (პარიზი, 1950 წ.). ამ უკანასკნელს ამერიკელ ქართველოლოგ რ. ბლეიკთან ერთად. 1957 წ. მ. ბრიერი საახლო ჟურნალში ბეჭდავს ნაშრომს «ქართული ქრისტიანული მწერლობა», რომელიც წარმოადგენს კ. კეკელიძის "ქართული ლიტერატურის ისტორიის" I ტომის ექსცერპტულ თარგმანს. ფრანგულენოვანი ქართველოლოგია ინტენსიურად ვითარდება ბელგიაში. განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ბოლანდისტთა საზოგადოების პრეზიდენტის პაულ პეეტერსის (1870-1950) ღვაწლი. იგი ლათინურად თარგმნის ქართული ორიგინალური და ნათარგმნი აგიოგრაფიის ძეგლებს. იკვლევს ქართული ქრისტიანული მწერლობის კარდინალურ პრობლემებს (ქართული ორიგინალური აგიოგრაფიის ძეგლები, ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში პირველწყაროების მიხედვით, ქართული "ბალავარიანი" და ევროპული "ვარლაამ და იოასაფის რომანი"). ქართველოლოგია ევროპული ფილოლოგიის თანამედროვე დონეზე აჰყავს კერარ გარიტს (1914-1992). იგი იკვლევს ქართული ნათარგმნი სასულიერო მწერლობის ძეგლებს, აქვეყნებს მათ ქართულ ტექსტს ლათინური თარგმანით და გამოკვლევებით, ეძიებს ქართულ ვერსიათა ადგილს სხვა რედაქციათა შორის. განსაკუთრებულ აღნიშვნას მოითხოვს მისი "სინის მთის ქართული ხელნაწერების აღწერილობა" (ლუვენი, 1956 წ.), იოანე-ზოსიმეს პალესტინურ-ქართული კალენდრის (ბრიუსელი, 1958 წ.) და "მოციქულთა საქმის" ქართული ვერსიის

გამოცემები (ლუგენი, 1955 წ.). ჟ. გარიტის ფილოლოგიურ კვლევა-ძიებებს ქართველოლოგიის დარგში წარმატებით აგრძელებს მიშელ ვან ესბროკი. იგი სწავლობს ქართულ აგიოგრაფიულ და ჰიმნოგრაფიულ კრებულებს ბიზანტიურ მწერლობასთან მიმართებაში; ძველი ქართული მრავალთავეების სტრუქტურას, მათი წარმოშობისა და განვითარების პროცესს. აქვეყნებს ძველი ქართული ჰომილეტიკური, აპოკრიფული და აგიოგრაფიული საკითხავეების ლათინურ და ფრანგულ თარგმანებს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი გამოკვლევები: “უძველესი ქართული მრავალთავეები” (1979 წ.) და “ეფთვიმე ათონელი: მთარგმნელი და მისი თარგმანები” (1987 წ.). მ. ესბროკის კვლევა-ძიებებს ქართულ ნათარგმნ აპოფთეგმურ ლიტერატურაზე აგრძელებს ფრანგი ქართველოლოგი ბერნარ უტიე (1977 წ.). იგი აქვეყნებს ქართული ასომთავრული ლექციონარის მანამდე უცნობ ფრაგმენტებს (1975 წ.), სწავლობს ახალი აღთქმის უძველეს ქართულ ხელნაწერებს (1988 წ.), წმ. ევრემ ასურის სახელით მოღწეული თხზულებების ქართულ კრებულებს (1974 წ.). ქართულ ბერ-მონაზვნობას და მასთან დაკავშირებულ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს სწავლობს ფრანგი მკვლევარი ბ. მარტენ-იზარი. აღსანიშნავია მისი ნარკვევები: “ათცამეტ ასურელ მამათა ცხოვრების” ქართულ ტექსტებზე (1986 წ.) და ტაო-კლარჯეთისა და ათონის სამონასტრო ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე (1983 წ.). ფრანგულენოვან ქართველოლოგიაში მეცნიერული კვლევის საგნადაა ქცეული თანამედროვე ქართული ლიტერატურის საკითხები. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ლ. არაგონის მონოგრაფია “საბჭოთა ლიტერატურები” (პარიზი, 1955 წ.); ლუქსემბურგელი ჟურნალისტის რ. კიეფერის ნარკვევები XX საუკუნის ქართველ მწერლებზე, რომლებიც ქვეყნდებოდა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ჟურნალ “ახალი ევროპის” ფურცლებზე.

პეტერბურგის ქართველოლოგიურმა სკოლამ იმპულსი მისცა ქართული ლიტერატურით დაინტერესებას XIX საუკუნის შუა წლების გერმანიაშიც და ამით გერმანული ქართველოლოგიის ხელახალ გააქტიურებას. 1842 წელს ვრცელ მეცნიერულ ნარკვევს “ვეფხისტყაოსანზე” რუსულ ენაზე აქვეყნებს დ. ჩუბინაშვილი, რომელიც იმავე წელს ითარგმნა გერმანულ ენაზე და გამოქვეყნდა ბერლინში. რუსთველის სახელი, ერთბაშად შედის გერმანულენოვან მსოფლიო ლიტერატურის ისტორიებსა და თანდათანობით ენციკლოპედიებში. ქართულ ლიტერატურას განიხილავს ფრიდრიხ ბოდენშტედტი წიგნში “ათას ერთი დღე

აღმოსავლეთში” (ბერლინი, 1850 წ.). XIX საუკუნის 80-იან წლებში გერმანულენოვან სამყაროს ქართულ ლიტერატურას აცნობს არტურ ლაისტი (1852-1927). პირველად, 1883 წ. სტატიით სამეცნიერო ჟურნალში; შემდეგ, 1885 წ. საქართველოში გერმანულ ენაზე გამოცემული წიგნით “საქართველო. ბუნება, ხნე-ჩვეულება, მოსახლეობა”; 1887 წ. ლაიფციგში დაბეჭდილი მონოგრაფიით “ქართველი პოეტები”, ხოლო 1889 (დრეზდენი) “ვეფხისტყაოსნის” გერმანული თარგმანით. 1903 წ. დრეზდენში იბეჭდება ა. ლაისტის “ქართველი ხალხი”. მ. ბროსესა და ა. ლაისტის შრომებს ეყრდნობა ა. ბაუმგარტნერის ცდა ქართული ლიტერატურის სრული მიმოხილვისა, რომელიც “მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის” კურსშია შესული (ფრაიბურგი, 1897 წ.). XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართული მწერლობა შეტანილია ი. შერის “მსოფლიო ლიტერატურის ილუსტრირებული ისტორიის” გამოცემებში.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის გერმანულენოვანი ენათმეცნიერება განსაკუთრებით დაინტერესდება ქართული და ქართველური ენებით: ფ. მიულერი – “კავკასიურ ენათა ადგილი ენათმეცნიერებაში” (გოტინგენი, 1864 წ.); გ. როზენი – “ლაზების ენის შესახებ” (ბერლინი, 1884), “მეგრული, სვანური და აფხაზური ენის შესახებ” (ბერლინი, 1886 წ.); ფ. ბოპი – “ქართულის შესახებ ენათა ნათესაობის თვალსაზრისით” (ბერლინი, 1886), “კავკასიის წევრები ინდოევროპულ ენათა ოჯახში” (ბერლინი, 1847); პ. შუხარდტი (1842-1927) – “ქართული ენის შესახებ” (1895 წ.), “ქართული ენათმეცნიერება” (1897 წ.) და სხვ.

XX საუკუნის დასაწყისიდან ახალი აღმავლობა ქართველოლოგიური მოღვაწეობისა ევროპაში განპირობებულია ბერლინის უნივერსიტეტის რექტორის, თეოლოგიის ცნობილი პროფესორის ა. ჰარნაკის ინტერესით ძველი ქართული სასულიერო მწერლობისადმი. ა. ჰარნაკი მაშინდელ მის ქართველ სტუდენტ ი. ჯავახიშვილთან ერთად ბერლინში 1901 წ. აქვეყნებს “ვესტატი მცხეთელის მარტვილობის” გერმანულ თარგმანს სათანადო გამოკვლევით. ამას მალე მოჰყვა გამოცემა “აბო თბილელის მარტვილობის” კ. შულცის მიერ შესრულებული გერმანული თარგმანისა (ლაიპციგი, 1905 წ.). ევროპული სამეცნიერო წრეების დიდ დაინტერესებას გამოიწვევს ნ. მარის მიერ 1901 წ. პეტერბურგში გამოცემული ძველი ქართული ხელნაწერებიდან შესრულებული რუსული თარგმანი II საუკუნის ბერძენი ავტორის იპოლიტე რომაელის “ქებათა ქების” განმარტებისა. ცალკეული ნაწილები ამ ძველი ქართული ტექსტიდან გერმანულად და ფრანგულად

თარგმნეს გ. ბონვენმა და მ. ბრიერმა. 1909 წ. ნ. მარმა გამოსცა კიდევ ერთი ბიზანტინისტებისათვის უცნობი ძველის რუსული თარგმანი ძველი ქართული ხელნაწერებიდან, კერძოდ ანტიოქე სტრატეგის თხზულება “წარტყუნვაჲ იერუსალიმისაჲ”; რომლის ინგლისური თარგმანი 1910 წ. ლონდონში გამოსცა ფ. კონიბირმა.

XX საუკუნეში გრძელდება ქართული ლიტერატურის მიმოხილვის შეტანა გერმანულენოვან მსოფლიო ლიტერატურებისა და კულტურის ისტორიის კურსებში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ნაშრომები ფ. ნ. ფინკის (1906 წ.) და ო. პანზერის (1910 წ.). უფრო მნიშვნელოვანია ა. ბაუმშტარკისეული (1872-1948) მიმოხილვა ძველი ქართული სასულიერო მწერლობისა “აღმოსავლეთის ქრისტიანული ლიტერატურების” კურსში (1911 წ.) და მისი გამოკვლევები სახარების ძველ ქართულ ტექსტებსა და მინიატურებზე (1915 წ.; 1928 წ.). ძველი ქართული ბიბლიური ტექსტების შესწავლას წარმატებით აგრძელებს იოსებ მოლიტორი (1903-1978). იგი ქართულიდან ლათინურად თარგმნის ახალი აღთქმის ნარკვევებს, აქვეყნებს მათზე შედგენილ ლექსიკონებს, მიმოხილავს ქართული ბიბლიის თარგმანის ისტორიას (1933) და კათოლიკე ეპისტოლეტა ქართულ ვერსიას (1965 წ.). ავსტრიელი პროფესორი რობერტ ბლაიხშტაინერი (1891-1954) იკვლევს ქართულ ზეპირსიტყვიერებას. ჯერ კიდევ 1918 წელს იგი აქვეყნებს მონოგრაფიას ქართული ამირანის ეპოსზე. 1919 წელს გამოსცემს “კავკასიურ ნოველებს”, რომლებშიც ქართული და სხვა კავკასიელი ხალხების ზღაპრები და თქმულებებია შეტანილი. ქართული და კავკასიური ზეპირსიტყვიერების კვლევას აგრძელებს ა. დირი (1922 წ.). 1926 წელს კი რ. ლახი გამოსცემს “ქართულ გალობებს”, რომელშიც ქართველური და კავკასიური ენებიდან ბევრი სიმღერის ნოტებდართული ტექსტია გამოქვეყნებული. რ. ბლაიხშტაინერი 40-იან წლებში ქართული ლიტერატურის ცალკეულ ნიმუშებს სწავლობს – “ვეფხისტყაოსანი” (1940 წ.), დ. ჭონქაძის “სურამის ციხე” – თარგმანი და მიმოხილვა (1940 წ.), ნიკოლოზ ბარათაშვილი (1945 წ.). 1950 წ. იგი აქვეყნებს მონოგრაფიას “საქართველო გუშინ და დღეს”, რომელშიც მთელი ქართული ლიტერატურის მიმოხილვაა წარმოდგენილი. ქართულ სასულიერო მწერლობას იკვლევს იულიუს ასფალგი (1919-2000): “ქართული საეკლესიო ლიტერატურა” (1957 წ.), “ქართული ხელნაწერები” (1964 წ.) და სხვ. მან მიხეილ თარხნიშვილთან ერთად თარგმნა, გადაამუშავა და 1955 წელს ვატიკანში გერმანულ ენაზე გამოსცა კ. კეკელიძის

“ქართული საეკლესიო ლიტერატურის ისტორია”.

გერმანულენოვანი ქართველოლოგია დაწინაურდება შვეიცარიაში. 1957 წ. ციურისში გამოდის ქართული “ვისრამიანის” გერმანული თარგმანი მიმოხილვითურთ კიტა ჩხენკელისა და რუთ ნოიკომის მიერ შესრულებული. ხოლო 1971 წელს იმავე ციურისში რ. ნოიკომი აქვეყნებს XX საუკუნის ქართველი მწერლების მოთხრობების გერმანულ თარგმანებს მიმოხილვითურთ. ქართული ლიტერატურის ნიმუშებს თარგმნიან და იკვლევენ ცნობილი გერმანელი ენათმეცნიერები. გერჰარდ დევტერსი (1892-1961) მიმოხილავს რუსთველოლოგიურ პრობლემატიკას. 1963 წ. ქვეყნდება მისი ნარკვევი “ქართული ლიტერატურა”. გერტრუდ პენი (1910-1993) აქვეყნებს სტატიებს რუსთველის, ვაჟა-ფშაველას, კ. გამსახურდიას შემოქმედებაზე გერმანულად თარგმნის ქართულ ზღაპრებს და XX საუკუნის ქართველ პროზაიკოსებს, იკვლევს მათ შემოქმედებას ჰაინც ფენრიხი. 1933 წელს იგი აქვეყნებს მონოგრაფიას “ქართული ლიტერატურა”. XX საუკუნის ქართულ ლიტერატურას იკვლევს გერმანელი ქართველოლოგი შტეფი იუნგერი. 80-იანი წლებიდან იგი აქვეყნებს გამოკვლევებს მ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას, ნ. დუმბადის, ო. ჭილაძის შემოქმედებაზე.

XX საუკუნის გერმანულენოვანი ქართველოლოგია მნიშვნელოვანია ქართული ენის შესწავლის მიმართულებითაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია: რ. ბლაიხშტაინერის « კავკასიის ხალხების და ენების მიმოხილვა » (1918 წ.), ჯ. მეკელანის « ქართულ-გერმანული ლექსიკონი » (1918 წ.), გ. დევტერსის « ქართული ზმნა » (1930 წ.), ჟ. კარსტის « იბერიულ-კავკასიურის შედარებითი გრამატიკის ძირითადი მონახაზი » (1932 წ.). თანამედროვე გერმანულ ქართველოლოგთაგან ქართული ენის საკითხებს წარმატებით იკვლევენ პროფესორები ვინფრიდ ბოედერი და ჰაინც ფენრიხი. ვ. ბოედერის სტატიები, რომლებიც ქვეყნდება XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, შეეხება ქართული ზმნის, ქართული ანბანის, ქართული ენის სინტაქსის, პუნქტუაციის არსებით საკითხებს. პ. ფენრიხი უპირატესად ქართული და ქართველური ენების ეტიმოლოგიის საკითხებს იკვლევს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი « ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი » (ზ. სარჯველაძესთან ერთად, ლეიდენი, ნიუიორკი, კოლნი 1995) და მის მიერ გერმანულად თარგმნილი ა. შანიძის « ძველი ქართული ენის გრამატიკა » (თბილისი, 1982). ქართველური ენების მიმართებებს ინდოევროპულ

(უპირატესად ირანულ) ენებთან იკვლევს პროფესორი ჯოსტ გაიპერტი. იგი ამუშავებს აგრეთვე სვანურ ფოლკლორულ ტექსტებს.

XX საუკუნემ ქართველოლოგია საზღვარგარეთის თითქმის ყველა ინტელექტუალურად განვითარებულ ქვეყანაში შეიტანა. თუმცა ქართველოლოგიის პროგრესი მაინც რამდენიმე ცენტრში მიმდინარე ინტენსიური საქმიანობით იყო განპირობებული. მათ შორის უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ოქსფორდი, (დიდი ბრიტანეთი), ბოდლის ბიბლიოთეკის ორიენტალისტური განყოფილების ქართულ წიგნთა და ხელნაწერთა კოლექცია და მარჯორი უორდროპის ფონდი. ეს ფონდი დაარსდა მარჯორი უორდროპის გარდაცვალების შემდეგ მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად 1910 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტის საბჭოს დადგენილებით. ფონდი ზრუნავს ბოდლის ბიბლიოთეკის ქართული განყოფილების გაზრდაზე, ქართველოლოგიური ნაშრომების გამოცემაზე, ინგლისელი სტუდენტების დაინტერესებაზე ქართული სამყაროთი და ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის საკითხებზე საჯარო ლექციების ორგანიზებაზე ოქსფორდში. მარჯორი უორდროპის ფონდის ინიციატივით ოქსფორდში საჯარო ლექცია წაუკითხავს ბევრ უცხოელ ქართველოლოგს და საქართველოდან ჩამოსულ ბევრ მეცნიერს. ქართველოლოგიური საქმიანობა ოქსფორდში შესწავლილი აქვს დევიდ ლანგს (1955 წ.).⁸ ბოდლის ბიბლიოთეკის ქართველოლოგიური წიგნთსაცავის მეცნიერული აღწერილობა 1973 წ. გამოსცა ოქსფორდელმა ქართველოლოგმა დევიდ ბარეტმა (1914-1998)⁹.

1935-37 წლებში ლონდონში ინგლისურ ენაზე გამოდიოდა ჟურნალი "გეორგიკა". გამოვიდა სამი ტომი ხუთ მონაკვეთად. გამომცემელი იყო "ქართული საისტორიო საზოგადოება". ამ ჟურნალის ირგვლივ გაერთიანდნენ ცნობილი უცხოელი მეცნიერები (უ.ე. ალენი, ე. დენისონ როსი, ჯ. ბადელი, ლემან-პაუპტი); ევროპაში მცხოვრები ქართველი მეკვლევარები (ა. გუგუშვილი, ე. თაყაიშვილი, მ. წერეთელი, გ. ფერაძე, ვ. ნოზაძე, ზ. ავალიშვილი, ტ. მარგველაშვილი, გ. გვაზავა, გ. ბოჭორიძე), ასევე რუსეთსა და საქართველოში მოღვაწე ქართველოლოგები (ნ. მარი, გ. ჩიტაია, ს. კაკაბაძე, ი. ჯავახიშვილი, ა. ჯავახიშვილი, გ. ლეონიძე, ლ. მუსხელიშვილი, ს. ჯანაშია).

⁸ D.M.Lang, Georgian Studies in Oxford. - Oxford Slavonic Papers, vol. VI, 1955

⁹ D. Barret, Catalogue of the Wardrop Collection and of Other Georgian Books and Manuscripts in the Bodleian Library, Oxford, 1973

XX საუკუნის 60-იან წლებში ინგლისში ახალი ქართველოლოგიური კვლევის ცენტრი ჩამოყალიბდა. ეს იყო ლონდონის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკისა და აფრიკათმცოდნეობის სკოლასთან შექმნილი კავკასიათმცოდნეობის კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. დ. ლანგი. ათეული წლების მანძილზე ლონდონში ყველა ინიციატივა ქართველოლოგიის დარგში ამ ინსტიტუტთან იყო დაკავშირებული. 1988 წლიდან დაწყებული ლონდონის უნივერსიტეტში ყოველწლიურად იმართებოდა ქართველოლოგიის დღე. ამ ტრადიციას საფუძველი ჩაუყარა და დიდხანს მისი უცვლელი ორგანიზატორი იყო ინგლისელი ქართველოლოგი, მწერალი და ეთნოგრაფი თამარ დრაგაძე.

ძალზე მნიშვნელოვანი წვლილი საზღვარგარეთული ქართველოლოგიის განვითარებაში შეიტანა ჟურნალმა « ბედი ქართლისამ », რომელიც გამოდიოდა პარიზში 1948-1984 წლებში, თავდაპირველად ქართულ ენაზე (1948-1956 წწ.), შემდეგ ქართულ და ფრანგულ ენებზე (1957-1963 წწ.) და ბოლოს მხოლოდ ფრანგულ ენაზე (1964-1984 წწ.). ჟურნალის ფრანგული ნომრების პარალელური სახელწოდება იყო « რევიუ დე კარტველოლოჟი ». გამომცემლები იყვნენ კალისტრატე და ნინო სალიები. « ბედი ქართლისა » თავდაპირველად ქართული ემიგრაციის ორგანო იყო, თანდათანობით კი იგი იქცა ზოგადქართველოლოგიურ სამეცნიერო ჟურნალად. ჟურნალის ტრადიციების გაგრძელება სცადა ახალმა სამეცნიერო ორგანომ - « ქართული და კავკასიური ეტიუდების ჟურნალი », რომლის დამაარსებელია ჟორჟ დიუშეზილი, რედაქტორი გიორგი შარაშიძე. ჟურნალი ინარჩუნებს მეორე სახელწოდებასაც - « ბედი ქართლისა ». პირველი ნომერი გამოვიდა 1985 წელს პარიზში¹⁰. ჟურნალმა « რევიუ დე კარტველოლოჟი » თავის ირგვლივ შემოიკრიბა როგორც უცხოელი ქართველოლოგები, ასევე ქართველი მეცნიერები.

უცხოეთში ქართველოლოგიური საქმიანობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ევროპაში იძულებით გადასახლებული ქართველი ემიგრანტების მოღვაწეობა. მათ XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული მეცნიერების მისწრაფებები შეიტანეს საზღვარგარეთულ ქართველოლოგიაში და, მეორე მხრივ, ქართველოლოგია გაამდიდრეს და აამაღლეს ევროპული მეცნიერების მიღწევებით. ევროპაში გადასახლებულ ქართველოლოგთა შორის თავდაპირველად მიხეილ თამარაშვილი¹⁰ Revue des Etudes Géorgiennes et Caucasiennes, N 1. (Bedi Kartlisa, XLIV), 1985, Paris

(1858-1911) უნდა ვახსენოთ. იგი რუსეთის მთავრობამ 1890 წელს გააძევა საქართველოდან თავისი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობისათვის. მან პირველმა გამოაქვეყნა უცხოეთის წიგნთსაცავებში საქართველოსთან დაკავშირებული მასალები: სულხან-საბას ევროპაში მოგზაურობის დოკუმენტები, კრისტოფორო დე კასტელის ალბომი და სხვ. 1910 წ. რომში ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა « საქართველოს ეკლესიის ისტორია ». მიხეილ თარხნიშვილი (1897-1958) ავტორია მრავალი გამოკვლევისა ქართული საქრისტიანო მწერლობის შესახებ გერმანულ და ფრანგულ ენებზე. აქვეყნებს ძველი ქართული ლიტერატურის ტექსტებს ფილოლოგიური გამოკვლევებით: « ძველი ქართული ჟამისწირვები » (1950 წ.), « პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი » (1954 წ.), « იერუსალიმის ეკლესიის დიდი ლექციონარი » (1959 წ.). მიხეილ წერეთელი (1878-1965) იკვლევს ქართული ეთნოსის ადგილს მცირე აზიის ხალხთა უძველეს ცივილიზაციაში. გერმანულ ენაზე თარგმნის და გამოკვლევებით აქვეყნებს დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ცხოვრებათა ისტორიებს, სულხან-საბას « სიბრძნე-სიცრუისას » (ბერლინი, 1933 წ.), პარიზში განახორციელებს « ვეფხისტყაოსნის » კრიტიკულ გამოცემას (1961 წ.). ცნობილი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე (1880-1954) ევროპაში ემიგრაციის შემდეგ სამწერლო მოღვაწეობას გერმანულ ენაზე აგრძელებს და აქვეყნებს ქართველოლოგიურ გამოკვლევებს, რომლებიც უპირატესად ქართულ ლიტერატურას შეეხება. ფართო საეკლესიო და მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთსა და პოლონეთში გრიგოლ ფერაძე (1899-1942). იგი იკვლევს ძველ ქართულ ქრისტიანულ მწერლობას. ინგლისურ ენაზე თარგმნა კ. კეკელიძის გამოკვლევა « უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში ». აქტიურ მოღვაწეობას ეწევა ქართული ლიტერატურისა და განსაკუთრებით « ვეფხისტყაოსნის » პოპულარიზაციისათვის საფრანგეთსა და იტალიაში შალვა ბერიძე (1892-1970). 1945 წ. აქვეყნებს « ვეფხისტყაოსნის » საკუთარ იტალიურ თარგმანს (მილანი). XX საუკუნის პირველ ნახევარში ოქსფორდში მოღვაწეობს ეკა ჩერქეზიშვილი. 1950 წელს იქვე გამოიცა მისი შედგენილი « ქართულ-ინგლისური ლექსიკონი ». საკუთარ ჟურნალში (« რვეიუ დე ქართველოლოგი ») ფრანგულ ენაზე მრავალი შრომა გამოაქვეყნა საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის შესახებ კალისტრატე სალიამ (1901-1986). ქართველმა ემიგრანტებმა (ვიკტორ ნოზაძე, ნოე ჟორდანი, ზურაბ ავალიშვილი და სხვ.) ევროპაში ქართულ ენაზე მრავალი

ქართველოლოგიური ნაშრომი გამოაქვეყნეს. განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ვიკტორ ნოზაძის ქართულენოვანი შვიდი მონოგრაფია „ვეფხისტყაოსანზე“, რომლებმაც რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში ძალზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: «ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება» (სანტიაგო დე ჩილე, 1957), „ვ.ტ. შიის მეტყველება“ (ს.ჩ. 1957), „ვ. ტ. ბუნებისმეტყველება“ (ს.ჩ. 1957), „ვ. ტ. ფერთამეტყველება“ (ბუენოს აირესი, 1953), „ვ. ტ. საზოგადოებათმეტყველება“ (ს. ჩ., 1958 წ.), „ვ.ტ. დმრთისმეტყველება“ (პარიზი, 1963), „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება“ (პარიზი, 1975).

1946 წლიდან შვეიცარიაში ციურიხის უნივერსიტეტში ქართულ ენას ასწავლიდა ქართველი ენათმეცნიერი კიტა ჩხენკელი. მან თავის მოწაფე შვეიცარიელ ქალებთან ერთად (ლეა ფლური, იოლანდა მარშევი, რუთ ნოიკომი) შექმნა ქართველოლოგიური ცენტრი. 1974 წელს გამოქვეყნდა მათ მიერ კ. ჩხენკელის ხელმძღვანელობით შედგენილი « ქართულ-გერმანული ლექსიკონი ». ციურიხში დააარსეს ქართული გამომცემლობა « ამირანი », რომელსაც ხელმძღვანელობდა ლ. ფლური. ი. მარშევი უნივერსიტეტში განაგებდა ქართული ენის კათედრას და კითხულობდა ლექციებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. რ. ნოიკომმა 1957 წ. გერმანულად თარგმნა « ვისრამიანი » (კ. ჩხენკელთან ერთად), « თანამედროვე ქართული მოთხრობები » (1970 წ.), « ვეფხისტყაოსანი » (1974 წ.).

ევროპული ქართველოლოგიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს იენის ფრიდრიხ შილერის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების ერთობლივ სამეცნიერო გერმანულენოვან ჟურნალს « გეორგიკა ». ჟურნალის დამაარსებელი (1978 წ.) და უცვლელი რედაქტორია პაინც ფენრიხი. ჟურნალის დაარსებას წინ უძღოდა პ. ფენრიხის ინიციატივით გამოცემული სამი ნომერი ფრ. შილერის უნივერსიტეტის შრომებისა სათაურით « საქართველო » (1973, 1975, 1977 წწ.). 1990 წლიდან ჟურნალი გამოდის ქ. კონსტანცში და იგი არის ოთხი უნივერსიტეტის – იენის, თბილისის, საარბრუკენის და კონსტანცის უნივერსიტეტების ერთობლივი ორგანო.

სახელწოდებით « გეორგიკა » ევროპულ ლიტერატურატმცოდნეობაში ცნობილია სხვა სამეცნიერო კრებულებიც. 1985 წ. რომში იტალიურ ენაზე გამოიცა ვენეციის უნივერსიტეტის ირანისტიკის, ურალო-ალტაისტიკის და კავკასიოლოგიის სემინარის მასალები სახელწოდებით

« გეორგია » I (რედაქტორები ლუიჯი მაგაროტო და ჯანრობერტო სკარჩია). მეორე ნომერი კრებულია სათაურით « გეორგია II. მასალები აღმოსავლეთ საქართველოზე » გამოიცა 1988 წ. XX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულების იტალიაში ქართველოლოგიური საქმიანობა უპირატესად დაკავშირებულია ვენეციის უნივერსიტეტთან და კერძოდ, პროფ. ლუიჯი მაგაროტოს სახელთან. იგი ლიტერატურათმცოდნეა, იკვლევს XX საუკუნის ქართულ მწერლობას; ავტორია მიმოხილვითი წერილებისა მრავალრიცხოვან იტალიურ ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში. იტალიურ ენაზე თარგმნის ქართული ლიტერატურის ძეგლებს: 1978 წ. გამოაქვეყნა გალაკტიონის რამდენიმე ლექსის თარგმანი. 1966 წელს გამოვიდა ვაჟა-ფშაველას პოემები, იტალიურად თარგმნილი ლ. მაგაროტოსა და ჯ. სკარჩიას მიერ. იტალიაში განსაკუთრებით დაწინაურდა ქართული ხელოვნების კვლევა. ტარდება ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმები (ქ. ბერგამო 1974 წ.; ქ. ბარი და ქ. ლეჩე 1980 წ.). 1981 წელს გამოიცა « ვეფხისტყაოსნის » მეორე იტალიური თარგმანი (მთარგმნელები მ. პიკი და პ. ანჯოლუტი).

1996 წლიდან ევროპაში ყოველწლიურად გამოდის კიდევ ერთი სამეცნიერო ჟურნალი « გეორგია ». კერძოდ, პოლანდიაში 1992 წლიდან დაარსებულია ბაგრატიონის ფონდი (თავმჯდომარე ვიმ ლუკასენი), რომელიც 1994 წლიდან ამსტერდამში ყოველწლიურად მართავს საქართველოს დღეს, სამეცნიერო სხიით. ხოლო 1996 წლიდან სცემს ჟურნალ « გეორგიკას » (რედაქტორი ალექსანდრა გაბრიელი).

ქართველოლოგიური სიმპოზიუმები ევროპაში ქართული ლიტერატურის პრობლემებზეც იმართება: 1991 წელს ფინეთში ქ. ტურკუს უნივერსიტეტში გაიმართა შოთა რუსთველისადმი მიძღვნილი ინტერნაციონალური სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა « ვეფხისტყაოსნის » პირველი ფინური თარგმანის გამოსვლას (1991 წ.). თარგმანი შესრულდა ფინელი მწერლის ო. ლინუსის მიერ ოქსფორდის ქართველოლოგიურ ცენტრთან მჭიდრო ურთიერთობით; კერძოდ, ოქსფორდელი ქართველოლოგის დ. ბარეტის კონსულტაციებით.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ქართველოლოგიური მოღვაწეობის აქტიუზაციით კიდევ რამდენიმე ცენტრი გამოირჩევა: ნორვეგიაში ხანგრძლივ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ქართული ენის შესასწავლად ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი ჰანს

ფოგტი (1903-1986). მისი გამოკვლევები ქართული ენის არსებით პრობლემებზე ქვეყნდება XX საუკუნის 30-იანი წლებიდან (« ქართული ენის ფონემატიური სტრუქტურა », 1958 წ.). 1971 წელს აქვეყნებს « ქართული ენის გრამატიკას ». ესპანეთში ქართული და ბასკური ენის მიმართებებს იკვლევენ ანტონიო ტოვარი და შაბიერ კინტანა. 1964 წელს სანტიაგო დე ჩილეში ქვეყნდება გუსტავო დე ლა ტორე ბოტაროს შესრულებული « ვეფხისტყაოსნის » ესპანური თარგმანი. 1999 წელს მადრიდში იბეჭდება რუსთველის პოემის შ. კინტანასეული ბასკური თარგმანი. პოლონეთში ქართველოლოგიური, კერძოდ რუსთველოლოგიური პრობლემატიკით დაინტერესდნენ XIX საუკუნის 30-იან წლებში. კ. რდულტოვსკი აქვეყნებს სტატიას « ვეფხისტყაოსანზე » და პოემის ზოგიერთი ნაწევრის თარგმანს (1830 წ.). ამას მოჰყვა პოემის კაზიმირ ლაფჩინსკისეული თარგმანის გამოქვეყნება (1863 წ.). ეს იყო « ვეფხისტყაოსნის » პირველი უცხოური თარგმანი. ქართული და ბასკური ენების ნათესაობას იკვლევს ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი იან ბრაუნი. ჩეხეთში ქართველოლოგიური საქმიანობიდან უნდა აღინიშნოს მწერალ სვატოპლუკ ჩეხის მიერ 1884 წელს გამოცემული « მოგზაურობა კავკასიაში »; 1912 წელს ო. ვეტის მიერ ა. წერეთლის « ბაში-ახუკის » თარგმანის გამოქვეყნება. ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე გამოკვლევებს აქვეყნებს იარომირ იედლინკა (1901-1965). უნგრეთში « ვეფხისტყაოსნის » ორი თარგმანია გამოქვეყნებული: ბელა ვიკარის (1917 წ.) და შ. ვეერემის (1954 წ.). უნგრეთისა და საქართველოს საისტორიო და კულტურულ ურთიერთობებს იკვლევს ლაიოშ ტარდი. ქართული ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების საკითხებზე გამოკვლევებს აქვეყნებს მარტონ იშტვანოვიჩი. რუმინეთში აღსანიშნავია ვიკტორ კერნბახის ქართველოლოგიური ლიტერატურულ-მთარგმნელობითი საქმიანობა. XX საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნდა ბულგარელი მწერლის ი. ვაზოვის მონოგრაფია « ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების მოკლე მიმოხილვა » (სოფია, 1901). « ვეფხისტყაოსნის » ბულგარულ თარგმანს აქვეყნებს ს. ბაკირჯიევი (1975 წ.). ბულგარელი ხელოვნებათმცოდნეები და ისტორიკოსები წარმატებით იკვლევენ პეტრიწონის ქართულ მონასტრთან დაკავშირებულ საკითხებს (ე. ბაკალოვა და სხვ.).

მიუხედავად იმისა, რომ შუასაუკუნეების საქართველოს ძალზე მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ახლო აღმოსავლეთის დიდ იმპერიებთან (სპარსეთი, არაბეთი, ბიზანტია, თურქეთი), მნიშვნელოვან

ქართველოლოგიურ საქმიანობას ახალი საუკუნეების ირანში, თურქეთში, საბერძნეთში და არაბულ ქვეყნებში ადგილი არა აქვს. ამ მიმართულებით მხოლოდ რამდენიმე ფაქტზე შეიძლება მითითება: ბერძნულ ენაზე ქართულ სიტყვებზე მსჯელობა უპირატესად ორთოდოქსული ეკლესიის ინტერესების რეალიზაციით ხდება. ასეთია მონოგრაფიები თუ გზამკვლევები იერუსალიმის ჯვრის მონასტერზე (გიორგი პანამიხაილის, ვასილიოს ძაფერის) და არქიმანდრიტ ტიმოთეოსის შედგენილი « ქართველი წმინდანები » (1986 წ.). არაბულ ენაზე ნახარ ხალილის მიერ თარგმნილია « ვეფხისტყაოსანი » (დამასკო, 1984). თურქულ ენაზე 1968 წელს გამოიცა აჰმედ ოხჯანის მნიშვნელოვანი სამეცნიერო მონოგრაფია « საქართველო ». 1991 წელს სამსუნში იბეჭდება ბილალ დინდარის თარგმნილი « ვეფხისტყაოსანი ». ირანში XX საუკუნის 60-იან წლებში ქართულ ლიტერატურაზე და ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობებზე სტატიებს აქვეყნებს საიდ ნაფისი. თეირანში 1998 წელს იბეჭდება « ვეფხისტყაოსნის » ფარშიდ დელშადის სპარსული თარგმანი. ებრაულ ენაზე თელ-ავივში 1969 წელს გამოქვეყნდა ბ. გაპონოვის თარგმნილი « ვეფხისტყაოსანი ». ისრაელში ქართველოლოგიური კვლევა-ძიებანი წამოიწიეს საქართველოდან ჩასულმა ებრაელებმა (გ. წიწუაშვილი, ი. დავიდი, შ. დავიდი, რ. ენუქაშვილი და სხვ.); გამოდის ქართულენოვანი სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფიები, ჟურნალები და გაზეთები. შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში ქართველოლოგიური საქმიანობა თითქმის არ მიმდინარეობს. გამოჩნდის « ვეფხისტყაოსნის » თარგმანები, რომლებიც შესრულებულია თითქმის უველა ენაზე. შეიძლება აღინიშნოს: იაპონური თარგმანები ი. ფუკუროსი (1955 და 1972) და ო. ფუკასისა (1990) და ჩინური თარგმანები: ლი ცი-ესი (1943), ბეი ვინისა და ში ხინისა (1947) და ტან ლიუციანისა (1964).

შედარებით ახალგაზრდაა ქართველოლოგიური მეცნიერება ამერიკის შეერთებულ შტატებში. მისი დასაწყისი უკავშირდება ცნობილი ქართველოლოგის რობერტ ბლეიკის სახელს (1886-1950). იგი იკვლევდა და ლათინურ ენაზე თარგმნიდა ქართულ ბიბლიურ და აგიოგრაფიულ ტექსტებს. ძალზე მნიშვნელოვანია მის მიერ ფილოლოგიური მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების დონეზე შედგენილი იერუსალიმისა და ათონის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობები. ამერიკულ მედიევისტიკაში შეინიშნება ინტერესი რუსთველოლოგიური პრობლემებისადმი, რომელიც უკავშირდება ფრანგულ-პროვანსული ლიტერატურის კვლევას. ამ მიმართულებით

წამოიწყო მუშაობა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა ლ. სოლანომ. « ვეფხისტყაოსანს » ევროპულ კურტუაზიულ რომანთან მიმართებაში იკვლევს გ. კულმანს-ბეინენი. თანამედროვე ქართული ლიტერატურის პრობლემატიკას ამუშავებს ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორი დ. კიზირია. შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხებზე XX საუკუნის 60-იან წლებში გამოკვლევებს აქვეყნებს ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის პროფესორი კ. თუმანოვი. XX საუკუნის დასასრულიდან ქართული საისტორიო წყაროების კვლევა გრძელდება ატლანტის უნივერსიტეტში პროფ. სტივენ ჰაროლდ რაპის მიერ. ქართველურ ენებს და ქართულ ფოკლორს იკვლევს კეინ ტუიტი. მის მიერაა შედგენილი ქართული ზეპირსიტყვიერების ანთოლოგია (1994 წ.)¹¹; ავტორია მონოგრაფიებისა « სვანური ენა »¹² (1997 წ.) და « ქართველური მორფოსინტაქსი »¹³. მნიშვნელოვანი ცენტრი ქართული ენის სწავლებისა შექმნა ჩიკაგოს უნივერსიტეტში პროფ. ჰოვარდ არონსონმა, რომელიც მრავალი გამოკვლევის ავტორია ქართული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხებზე. მანვე შექმნა ინგლისურ ენაზე ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო, რომელიც 1982 წლიდან დაწყებული მრავალჯერ გადაამუშავდა და დაისტამბა.

საზღვარგარეთული ქართველოლოგიის მიმოხილვა არ იქნება სრულყოფილი, თუ არ გამოვყოფთ იმ ძირითად მიმართულებებს, რა გზითაც უპირატესად განვითარდა ქართველოლოგიური საქმიანობა უცხოეთში. მით უმეტეს, რომ ქართველოლოგიის ძირითად პრობლემებზე სწორ შემთხვევებში არა მარტო საკუთრივ ქართველოლოგები წერენ, არამედ საზოგადოდ ჰუმანიტარული მეცნიერების სხვა დარგის წარმომადგენლებიც – ბიზანტინისტები, მედიევისტები, ლინგვისტები, არქეოლოგები და ა. შ.

I. ლინგვისტთა, არქეოლოგთა და ძველი მსოფლიოს ისტორიის მკვლევართა ინტერესის სფეროში უპირველეს ყოვლისა ქართველთა ეთნოგენეზის და ფუძე ქართველური ენის მსოფლიოს ენათა ოჯახებთან მიმართების საკითხი დგას. ყველაზე ადრინდელი თვალსაზრისი ამ საკითხზე ცნობილი გერმანელი მეცნიერის გ. ლაიბნიცის (1646-1716) შრომებში ჩანს, სადაც ძიებაა

¹¹ K. Tuite, An Anthology of Georgian Folk Poetry. Madison, 1994

¹² K. Tuite, Svan. – Languages of the World. Materials, vol. 139. Lincom Europa, 1997

¹³ K. Tuite, Kartvelian Morphosyntax. München, 1998

მსგავსებისა ქართულსა და ინდოევროპული ოჯახის ენებს შორის. ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე ა. ანკეტილ დიუპერონი თავის გამოკვლევაში – « ძიებანი სპარსეთის ძველ ენებზე » (1768) წერდა ქართულის კავშირზე სპარსული ჯგუფის ზენდურ ენასთან. ქართული და ზოგი ქართველური ენის მონაცემები XVIII საუკუნეში შევიდა მსოფლიოს ენებისა და დიალექტების კატალოგებში : იტალიურ და ესპანურ ენებზე გამოცემული ლორენცო ერვასის « ენათა კატალოგი » (ჩეზენა, 1784 წ.), « მრავალენოვანი ლექსიკონი » (ჩეზენა, 1787 წ.), « ენათა კატალოგი » (ტ. II, მადრიდი, 1801 წ.) ; რუსეთში პ. პალასის რედაქციით გამოცემული « ყველა ენისა და კილოს შედარებითი ლექსიკონი » (I-II პეტერბურგი, 1787-89 წწ.) ; და ი. გულდენშტედტის « მოგზაურობის » მეორე ტომზე დართული « სიტყვათა კრებული კავკასიაში ხმარებულ ენათა შესადარებლად » (სანკტ-პეტერბურგი 1791)¹⁴ ; 1827 წ. პარიზში დასტამბული ი. კლაპროთის « ქართულ-ფრანგული და ფრანგულ-ქართული ლექსიკონი »¹⁵ და სხვ. ისტორიულ-შედარებითი მეთოდით პირველი კვლევა ქართული ენის ლექსიკური მასალისა და გრამატიკული მოვლენებისა ეკუთვნის მარი ბროსეს (« ქართული გრამატიკა », პარიზი, 1834 ; « ელემენტები ქართული ენისა », პარიზი, 1837)¹⁶. იგი ქართულ ენას ინდო-ევროპულ ენათა ინდურ-ირანულ შტოს მიაკუთვნებდა. გ. როზენი გერმანულად გამოქვეყნებულ წიგნებში – « ჭანების ენის შესახებ » (ბერლინი 1844) და « მეგრულის, სვანურისა და აფხაზურის შესახებ » (ბერლინი 1846)¹⁷ აფხაზურ-ჩერქეზული და იბერიული ენების ერთ ოჯახად მოაზრების შესაძლებლობას ხედავს, თუმცა დასკვნისაგან თავს იკავებს. 1847 წ. ფრ. ბოპი ქართველურ ენათა ინდოევროპულ (ანუ არიულ) ენათა ოჯახთან კავშირს მეცნიერულად ასაბუთებს («კავკასიის წევრები ინდოევროპულ ენათა ოჯახისა » (ბერლინი, 1847)¹⁸. იგი ქართული და ლაზური ენის მსგავსებას ხედავს სანსკრიტთან სახელთა ფლექსიაში, ზედსართავთა ხარისხებში, ნაცვალსახელთა ფუძეებსა და ბრუნებაში, რიცხვით სახელებში, ზმნის უღვლილებაში. შემდეგი გერმანელი მეცნიერი მაქს მიულერი ეთანხმება მ. ბროსესა და

¹⁴ J.A. Güldenstädt, Reisen durch Russland und in Caucasischen Gebürge, St.-Petersburg. Bd. I 1787; Bd. II 1791.

¹⁵ Vocabulaire de Grammaire de la langue géorgienne par M.J. Klaproth. Société Asiatique. Paris 1827

¹⁶ L'art libéral ou Grammaire géorgienne, par Brosset jeune, Paris, 1834.

¹⁷ Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über des Mingrelische, Suanische und Abchasische von Dr. Georg Rosen, Berlin, 1846.

¹⁸ Die Kaukasischen Glieder des indoeuropäischen Sprachstammes, Berlin, 1847.

ფრ. ბოპს ქართველური ენების ინდოევროპულთან დაკავშირებაში, ხოლო კავკასიურ ენებს თურანული მოდგმისად მიიჩნევს (ლაიფციგი, 1854). 1864 წ. გოტინგენში გამოდის სხვა გერმანელი მეცნიერის ფრიდრიხ მიულერის გამოკვლევა «კავკასიურ ენათა ადგილი ენათმეცნიერებაში», რომელშიც პირველად დაშვებული შესაძლებლობა სამხრეთ კავკასიურ ენათა ოჯახის (ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური) ჩრდილო კავკასიურ ენებთან ნათესაობისა¹⁹. მან ჩამოაყალიბა თვალსაზრისი, რომ კავკასიური ენები ბასკურთან ერთად წარმოადგენენ გადმონაშთს ენათა დიდი ოჯახისა, რომელიც გავრცელებული იყო ამ არეალში, სანამ აქ დამკვიდრდებოდნენ სემიტური, არიული და ურალურ-ალთაური ტომები. პ. შუხარდტი ეჭვობს ქართული ენის ჩრდილო კავკასიურ ენებთან ნათესაობის შესაძლებლობაში, მაგრამ ამ მიმართულებით კვლევის საჭიროებას არ გამოირიცხავს (ვენა, 1895 წ.). ად. დირის მონოგრაფია – «შესავალი კავკასიურ ენათა შესწავლაში » (ლაიფციგი, 1928 წ.)²⁰ კავკასიურ ენებში სამი ძირის ენებს გამოყოფს : სამხრეთ-დასავლურ-კავკასიური (ქართველური), ჩრდილო-დასავლურ-კავკასიური (აფხაზურ-უბიხურ-ჩერქეზული) ; ჩრდილო-აღმოსავლურ-კავკასიური (ჩეჩნურ-დაღესტნური). ეს სამი ძირი, მისი აზრით, თავისთავადი ერთეულებია და არა ერთი ფუძის ჯგუფები. ამავე დროს, იგი იზიარებს თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც კავკასიური ენები ბასკურთან, ეტრუსკულთან და წინა აზიის მკვდარ ენებთან ერთად ენათა ერთ წრეს ქმნიან.

ქართველურ ენათა კვლევის საფუძველზე რუსულ ენათმეცნიერულ სკოლაში ნიკო მარის ქმნის ენათა წარმოშობის ახალ, ე.წ. იაფეტურ თეორიას. ამ თეორიას საფუძველად დაედო მისი თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ქართული ენა სემიტური ენების მონათესავეა. XX საუკუნის პირველი სამი ათეული წლის მანძილზე მარი სხვადასხვაგვარი მოდიფიცირებით ავითარებდა ამ თეორიას. თავდაპირველად იაფეტურს უწოდებდა ცოცხალ ენათაგან მხოლოდ ქართველურ ენებს ; შემდეგ ქართველურთან ერთად – მთის კავკასიურ ენებს. შემდგომ ეტაპზე იაფეტურ ენათა ოჯახში იბერიულ-კავკასიური ენების გარდა შემოჰყავდა მედიტერანული ენები : პელაზგური, ეტრუსკული და ბასკური. და ბოლოს, ინდო-ევროპული ენებიც ჩათვალა იაფეტური ენების ტრანსფორმაციად ; უარყო ენების განსხვავება წარმოშობის ანუ გენეზისის მიხედვით და ენებს შორის განსხვავება საფუძვლებრივი

¹⁹ Fr. Müller. Über die sprachwissenschaftliche Stellung der kaukasischen Sprachen: "Orient und Occident", Bd. II, S. 526-535. Göttingen, 1864

²⁰ Ad. Dirr, Einführung in des Studium des kaukasischen Sprachen, Leipzig, 1928

პრინციპით ახსნა. რუსულ ენათმეცნიერულ სკოლაში ქართველური და კავკასიურ ენებს იკვლევდა გ. კლიმოვი (1928-1997): „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (1964 წ.) „კავკასიური ენები“ (1965 წ.)²¹. გერმანულ ენათმეცნიერულ სკოლაში ქართველური და კავკასიური ენების კვლევა გ. დეეტერსმა განაგრძო: „ქართველურ ენათა ზმნა“ (1930 წ.), „კავკასიური ენები“ (1963)²². იგი სარწმუნოდ არ მიიჩნევს კავკასიური ენების ბასკურთან ურთიერთობის მტკიცებას, თუმცა არ გამორიცხავს ამ ნათესაობის დასაბუთების შესაძლებლობას. იბერიულ-კავკასიური ენობრივი ნათესაობის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება აქვს ჰანს ფოგტს. სკეპტიკურია ნ. ტრუბეცკოის დამოკიდებულება ქართველური ენების ჩრდილო-კავკასიურ ენებთან მონათესავეობის თეორიისადმი (კავკასიური ენები: იხ. „ბრიტანია“, V, 1958)²³. კ. კ. შმიდტის („ნარკვევები სამხრეთ-კავკასიური ფუძე-ენის ბგერათშეღვენილობის რეკონსტრუქციის შესახებ“, 1962)²⁴ მტკიცებით კავკასიური ენების ნათესაობა არ მტკიცდება კანონზომიერი ბგერათშესატყვისობებით; ჩანს მხოლოდ ტიპოლოგიური სიახლოვე ფონოლოგიურ სისტემაში და გრამატიკულ კატეგორიებში, რაც შესაძლებელია ხანგრძლივი მეზობლობის შედეგად იყოს.

ევროპელ ენათმეცნიერთა მიერ გამოთქმულმა თვალსაზრისმა ქართველური ენების შესაძლებელი კავშირების შესახებ წინარე ბერძნული მოსახლეობის (პელაზგების) და მედიტერანული სამყაროს სხვა უძველეს ენებთან (ეტრუსკული, ბასკური) ბერძნული ენის ისტორიის მკვლევართა შორისაც დაამკვიდრა ანალოგიური თვალსაზრისი. პაულ კრენმერის აზრით („შესავალი ბერძნული ენის ისტორიაში“, 1896)²⁵ ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და მცირე აზიის უძველესი მოსახლეობა ერთ ეთნიკურ ჯგუფს შეადგენდა კულტურით და ენით და განსხვავდებოდა როგორც ინდოევროპელებისაგან, ასევე სემიტებისაგან. პელაზგური და კავკასიური სამყაროს მჭიდრო ნათესაობას იცავს ფრიტც შახერმეიერი (« საბერძნეთის უძველესი კულტურები », 1955)²⁶. წინარე ბერძნულის და ქართველურის

²¹ Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М. 1964; Кавказские языки, М. 1965

²² G. Deeters, Das kharthwelische verbum, Leipzig, 1930; Die kaukasischen Sprachen, Leiden-Köln, 1963

²³ N.S. Trubezkoy, Caucasian Languages: "Encyclopaedia Britannica", v. 5, 1958

²⁴ K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962

²⁵ P. Kretschmer, Einleitung in die Geschichte der griechischen Sprache, Göttingen, 1896

ლექსიკურ-გრამატიკულ პარალელებზე მსჯელობს ე.ი. ფურნეე (1979 წ.)²⁷.

ქართული ეთნოსის კავშირი მცირე აზიის და ხმელთაშუა ზღვის აუზის უძველეს მოსახლეობასთან სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად დასმულა მსოფლიოს ძველი ისტორიის უცხოელ მკვლევართა მიერაც. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს (1889 წ.) ფრ. ჰომელი დაპარაკობდა « ხალხთა აღაროდიულ ოჯახზე », რომელშიც იგი აერთიანებდა ა) ელამელებსა და კასიტებს ; ბ) ურარტელებს, რომელთა შთამომავლებს, მისი აზრით, წარმოადგენდნენ ქართველები, მელაზგები, სვანები ; გ) მცირე აზიის უძველეს ხალხებს ; დ) პელაზგებსა და ეტრუსკებს ; ე) ესპანეთის იბერებს, რომელთა მემკვიდრეებად მიიჩნევდა თანამედროვე ბასკებს ; ვ) აფრიკის ლიბიელებს²⁸. ჟ. კარსტი (1931 წ.) მატერიალური კულტურის (კერძოდ მეტალურგიის) განვითარებას არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით ქართველებს უკავშირებდა; მათ ინდოევროპული მოდგმის ხალხებად, კერძოდ არიელებად მიიჩნევდა და კავკასიაში შუა აზიიდან ძველი წელთაღრიცხვის V-IV საუკუნეებში მოსულად თვლიდა²⁹. კ.ფ. ლემან-ჰაუპტი ფიქრობდა (« თსუ შრომები », VI.1, 1938 წ.), რომ ქართველები ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოსული კარდუხების და მცირე აზიიდან მოსული მესხების შერწყმის შედეგად შექმნილი ეთნოსია. ხეთოლოგი ე. კავენიაკი მიიჩნევდა, რომ უძველესი წყაროებით მესოპოტამიაში გამოჩენილი მუშქები ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ოლქებიდან იყვნენ გამოსული (« მუშქები და ფრიგიელები », 1953)³⁰.

II. მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც უნდა გამოიყოს საზღვარგარეთულ ქართველოლოგიაში ესაა ქართული მწერლობის ძეგლების თარგმნა და კომენტირება ევროპულ ენებზე. ჩვენამდე მოღწეული ცნობების თანახმად, ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებებს ბერძნულ ენაზე ჯერ კიდევ X საუკუნის დამლევს თარგმნიდა ეფთვიმე ათონელი. მის მიერ ქართული « წმ. იოდასაფის ცხოვრების » გადაკეთებით შეიქმნა XII-XVI საუკუნეების ევროპული ლიტერატურის ძალზე პოპულარული სასულიერო რომანი « ვარლაამი და იოასაფი ». ევროპელ მოღვაწეთა მიერ

²⁶ F. Schachermeyer, Die ältesten Kulturen Griechenlands, Stuttgart, 1955.

²⁷ E. J. Fournée, Die wichtigsten konsonantischen Erscheinungen des Vorgriechischen, Den Haag, 1972; Vorgriechisch-kartvelisches, Leuven-Louvain, 1979

²⁸ Fr. Hommel, Abriss der Geschichte Vorderasiens, 1889.

²⁹ J. Karst, Urgeschichtliche Mittelmeervölker, Heidelberg, 1931

³⁰ E. Cavaignac, Mushki et phrygiens : J. A., t. CCXLI, 1953

ქართული თხზულების უძველეს თარგმანად შეიძლება დასახელდეს ბოლონიელი ბერის ბონაკორსის მიერ XIII საუკუნეში შედგენილ ლათინურ კრებულში (« რწმენის საუნჯე ») შეტანილი მოზრდილი ეპიზოდი ქართული ორიგინალური აგიოგრაფიული თხზულებიდან (« წმ. გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება ») ბერძნულ და ლათინურ ენებზე. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება « ვეფხისტყაოსნის » თარგმნა ევროპულ ენებზე. ევგენი ბოლხოვიტინოვი 1802 წელს დაბეჭდილ რუსულენოვან მონოგრაფიაში აქვეყნებს რუსთველის პოემის შინაარსს და პირველი სტროფის თარგმანს. 1828-31 წ. მარი ბროსე პარიზში აქვეყნებს რუსთველის პოემის პროზაული თარგმანის ნაწყვეტებს. მისი თარგმანის სრული ტექსტი ხელნაწერის სახითაა შემონახული სანკტ-პეტერბურგში. « ვეფხისტყაოსნის » პოეტური თარგმანის ნაწყვეტები პირველად გამოქვეყნდა რუსულ ენაზე 1845 წ. მთარგმნელი ი. ბარტდინსკი. პოემის სრული თარგმანის ძველი პუბლიკაციებია : პოლონური (კ. ლაპინსკის, 1863 წ. ვარშავა), ფრანგული (ა. ბორენის, 1885 წ.), გერმანული (ა. ლაისტის, 1889 წ. დრეზდენი), ინგლისური (მ. უორდროპის XIX-XX ს. მიჯნა, გამოქვეყნდა 1912 წ. ლონდონი). დღეისათვის « ვეფხისტყაოსანი » თარგმნილია მრავალ ათეულ ენაზე; რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, პოლონურ ენებზე რამდენიმეჯერ. რუსულ ენაზე « ვეფხისტყაოსნის » მთარგმნელებია : კ. ბალმონტი, გ. ცაგარელი, ნ. ზაბოლოცკი, პ. პეტრენკო, შ. ნეცუბიძე, ს. იორდანიშვილი ; გერმანულ ენაზე პოემის ტექსტი თარგმნეს ა. ლაისტმა, ფ. პესინამ, მ. რემანემ, რ. ნოიკომმა, მ. წერეთელმა, პ. ბუდენზიგმა, ვ. რუიკა-ფრანცმა, ნ. ჯანელიძემ. ინგლისურ ენაზე რუსთაველის პოემის მთარგმნელებია : მ. უორდროპი, ვ. ურუშაძე, ქ. ვივიანი, რ. სტივენსონი. ფრანგულ ენაზე « ვეფხისტყაოსანი » თარგმნეს ა. ბორენმა, გ. გუაზავამ და ა. მარსელ-პაონმა, ს. წულაძემ, ე. ორბელიანმა და ს. იორდანიშვილმა, გ. ბუაიძემ. სხვა ენებზე შესრულებული თარგმანებისაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვნად თვლიან მ. ბაჟანის უკრაინულ და ბ. გაპონოვის ებრაულ თარგმანებს.

ქართული ორიგინალური და თარგმნილი სასულიერო მწერლობის ევროპულ ენებზე გადატანა XX საუკუნის დასაწყისიდანვე იწყება, რასაც პირველ იმპულსებს აძლევს, ერთი მხრივ, ნ. მარის მიერ ძველი ქართული თარგმანებით შემონახული ბიზანტიური მწერლობის დაკარგულად მიჩნეული ძეგლების რამდენიმე ნიმუშის რუსული თარგმანის გამოქვეყნება ; ხოლო

მეორე მხრივ, ა. პარნაკის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით ქართული ორიგინალური აგიოგრაფიის რამდენიმე თხზულების გერმანული თარგმანის დაბეჭდვა. განსაკუთრებით ნაყოფიერი ამ მიმართულებით აღმოჩნდა ბელგიელი ორიენტალისტის პ. პეტერსის მოღვაწეობა, რომელმაც ლათინურად თარგმნა და გამოაქვეყნა ქართული ორიგინალური აგიოგრაფიის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი (1917-1919 წ.).³¹ ; და ინგლისელი ქართველოლოგის დ. ლანგის მიერ ინგლისურ ენაზე გადათარგმნილი და გადათქმული ქართველი წმინდანების ცხოვრებები და ლეგენდები (1956 წ.).³² ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ბელგიაში აღმოსავლური ქრისტიანული მწერლობის ცნობილ კორპუსში (Corpus Scriptorum Christianorum Orientalium) ქართული ქრისტიანული მწერლობის სერიის (Scriptores Iberici) დაარსება. 1950 წლიდან 1993 წლამდე ამ სერიაში მ. თარხნიშვილის, ე. გარტიის, მ. ვან ესბროკის, ე. მაიეს და ც. ქურციკიძის მიერ გამოქვეყნდა ძველი ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლების ქართული ტექსტები ლათინური ან ფრანგული თარგმანითურთ : ძველი ქართული ლიტურგიკა, გრიგოლ ბაკურიანისძის ტიპიკონი, იერუსალიმის დიდი საეკლესიო ლექციონარი, წმ. ანტონის წერილები, « სვიმეონ მესვეტის ცხოვრება », « იერუსალიმის წარტყვევება », « წმ. მართას ცხოვრება », ეპიფანე კვიპრიელის თხზულებები, იპოლიტე რომაელის ტრაქტატები დავითსა და გოლიათზე, « ქებათა ქებაზე » და ანტიქრისტეზე, « განძთა ქვაბი », მაქსიმე აღმსარებლის « ღვთისმშობლის ცხოვრება ». უცხოურად თარგმნილი ქართული ლიტერატურა არ მოიცავს მხოლოდ ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს. საკმაოდ სრულადაა თარგმნილი XIX და XX საუკუნის ქართული ლიტერატურაც, ზეპირსიტყვიერებაც. ყველაზე მეტი თარგმანი უცხოელთა მიერ შესრულებულია გერმანულ ენაზე.

III. უცხოელ მეცნიერთა კვლევის სფეროში ქართველოლოგიის თითქმის ყველა ძირითადი პრობლემაა. განსაკუთრებული აქტიურობითაა დამუშავებული ის საკითხები, რომლებიც ქართული კულტურისა და აზროვნების ცალკეულ გამოვლინებებს ანტიკური და შუასაუკუნეების მსოფლიოს ცივილიზაციის დიდ პრობლემებს აკავშირებს. ესაა საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის უძველესი მსოფლიოს მატერიალური კულტურის ძეგლების ფონზე შესწავლა.

³¹ "Analecta Bollandiana", t. 36-37, p. 5-318

³² D. M. Lang, Lives and Legends of the Georgian Saints, London 1956

ამ მიმართულებით უკანასკნელი პერიოდის მკვლევართაგან აღსანიშნავია ავსტრალიელი არქეოლოგის ა. საგონას გამოკვლევა ადრეული ბრინჯაოს ხანის კავკასიურ რეგიონზე (1984)³³. განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას შუასაუკუნეების ქართული საეკლესიო არქიტექტურისა და კედლის მხატვრობის მიმართებები ბიზანტიურ და მცირე აზიის ქრისტიანულ კულტურასთან. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ნაშრომები: ტ. ველმანსისა და ა. ნოველოს (1977 წ.)³⁴, ნ. ტიერის (1977 წ.)³⁵, ჟ. ლაფონტენ-დოსონის (1977 წ.)³⁶, ა. ისტმონდის (1998 წ.)³⁷. საგანგებოდ უნდა გამოიყოს ქართული ქრისტიანული მწერლობის ბიზანტიურთან შემხვედრი ზოგიერთი აქტუალური პრობლემის დამუშავება. ამ უკანასკნელი სფეროდან საგანგებოდ აღნიშნავს მოითხოვს 1952 წელს გამოქვეყნებული ბელგიელი აკადემიკოსის ე. პონიგმანის მონოგრაფია « პეტრე იბერიელი და ფსევდო დიონისე არეოპაგელის შრომები »³⁸, რომელმაც საფუძველი დაუდო ევროპაში V საუკუნის ცნობილი ბიზანტიელი ასკეტის, წარმოშობით ქართველი უფლისწულის, პეტრე იბერიელის ე.წ. არეოპაგეტიკული კორპუსის, შუასაუკუნეების საქრისტიანო მწერლობაში უადრესად პოპულარული თეოლოგიური ტრაქტატების, საიდუმლოებით მოცულ ავტორთან იდენტიფიცირების თეორიის ინტენსიურ კვლევას. აქვე უნდა აღინიშნოს თანამედროვე ბიზანტინისტიკისა და მედიევისტიკის ერთი დიდი პრობლემა – გვიანდელი შუასაუკუნეების ევროპული ლიტერატურის უადრესად პოპულარული რომანის « ვარლაამ და იოასაფის » ავტორობის საკითხის კვლევა. ამ თხზულების ბერძნული ორიგინალის ავტორად ეფთვიმე ათონელის კანდიდატურას და მასთან დაკავშირებულ ქართულ საისტორიო და ლიტერატურულ მასალას სხვადასხვა დროს პოზიტიურად თუ კრიტიკულად განიხილავენ ევროპელი

³³ A. Sagona, *The Caucasian Region in the Early Bronze Age*. Oxford: British Archaeological Reports. Inter. Seres 214, 1984.

³⁴ T. Velmans, Adriano Alpagò Novello, *Miroir de l'invisible, peintures murales et architecture de la Géorgie (VI-XV^e s.)*, Milano, 1966.

³⁵ N. Thierry, *Peintures du X^e siècle en Géorgie méridionale et leurs rapports avec la peinture byzantine d'Asie Mineure*. In: *Peintures d'Asie Mineure et de Transcaucasie au X^e et XI^e siècles (Variorum Reprints)*, Londres, 1977, p. 73-113.

³⁶ J. Lafontaine – Dosogne, *Recherches sur les programmes décoratifs des églises médiévales en Géorgie en relation avec la peinture monumentale Byzantine: II symposium International sur l' Art géorgien*; Tbilissi, 1977

³⁷ A. D. Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, Pennsylvania, 1998

³⁸ E. Honigmann, *Pierre l'Ibérien et les écrits du Pseudo-Denys d'Aréopagite*, Bruxelles, 1952

მეცნიერები: ფრანგი პ. ზოტენბერგი (1886 წ.) და ა. გრეგუარი (1963 წ.); ინგლისელი ფ. კონიბირი (1896 წ.) და დ. ლანგი (1960-იანი წლები); ბელგიელი პ. პეტერსი (1931 წ.), ფ. პალკინი (1953 წ.) და პ. დევი (1957 წ.); გერმანელი ფ. დელგერი (1953 წ.) და პ. ბეკი (1971 წ.), ამერიკელი რ. ვოლფი (1939 წ.), კ. თუმანოვი (1956) და ა. კაჟდანი (1988 წ.) და სხვ.

IV. საკუთრივ ქართული ლიტერატურის პრობლემატიკიდან ბუნებრივია, რომ ყველაზე ფართო განხილვის საგანი საზღვარგარეთ არის ქართული აზროვნების შედეგრი « ვეფხისტყაოსანი ». ყველაზე ადრინდელი შეფასება « ვეფხისტყაოსანმა » პირველი უცხოელი ქართველოლოგის მარი ბროსეს ხელიდან მიიღო (XIX ს. პირველი ნახევარი). იგი რუსთველის პოემას მსოფლიო ლიტერატურის შედეგების გვერდით აყენებს. ასევე აღტაცებული არ ყოფილა რუსთაველის შემოქმედებით ყველა უცხოელი ლიტერატორი. XIX საუკუნის 80-იანი წლებში ქართული საზოგადოება შეეცადა ევროპული ინტელიგენციისათვის გაეცნოთ « ვეფხისტყაოსანი ». ამ მიზნით პოემის ი. მუნარგიას მიერ შესრულებული ფრანგული თარგმანი (დღეს დაკარგულად ითვლება) გააცნეს უნგრულ მხატვარს მ. ზიჩის, ფრანგ სახალხო განათლების მოხელეს თბილისში ჟ. მურიეს და ავსტრიულ ლიტერატორებს ცოლ-ქმარს ბერტა და არტურ ზუტნერებს. ა. ზუტნერმა « ვეფხისტყაოსანს » აღტაცებული გამოკვლევა უძღვნა (თბილისი 1884 წ.). იგი რუსთაველს ევროპაში რომანის უანრის დამწვებად თვლის. მაგრამ რადიკალურად საპირისპირო შეხედულების აღმონდა ჟ. მურიე, რომელმაც თავისი აზრი პოემაზე სამჯის გამოაქვეყნა (თბილისი, 1886, პარიზი, 1887 წ. და ბრიუსელი, 1910 წ.). ჟ. მურიეს არ მოსწონს « ვეფხისტყაოსნის » ჰიპერბოლიზირებული ტონი, სიუჟეტის განვითარების აღმოსავლური სტილი, პოემის ტიპაჟი. ფრანგი ლიტერატორი პოემას ვერ უცქერის მკვლევარი-ფილოლოგის თვლით და მას აფასებს მისი თანამედროვე ევროპელი მკითხველის პოზიციიდან. ამგვარი, უფრო თავშეკავებული პოზიცია ჩანს ევროპული ლიტერატურის სხვა ისტორიკოსთა შრომებშიც: ი. შერი (შტუდგარტი, 1899), ფ. ბორკი (ლაიპციგი, 1915). ო. უორდროპი პირველია, რომელმაც 1912 წ. « ვეფხისტყაოსანის » ინგლისური თარგმანის პირველ გამოცემაზე დართულ თავის ბრწყინვალე გამოკვლევაში მიგვანიშნა, რომ « ვეფხისტყაოსნის » პოეტური სტილის გაუცხოება თანამედროვე ევროპელი მკითხველის ესთეტიკური ხედვის თავისებურებებითაც უნდა აიხსნას და რომ

“GEORGIAN LITERATURE IN EUROPEAN SCHOLARSHIP”*

The title monograph, compiled at the Centre for Kartvelian Studies and edited by Elguja Khintibidze, came out at the close of 2001 at Amsterdam (Adolf M. Hakkert Publisher).

A review of the cited monograph appeared at Amsterdam in Dutch (*Georgica*, 7, August - 2002, Editor: Alexandra Gabrieli). Here follows an English translation of the review made by **Sandra Elisabeth Roelofs**.

The geographic location of Georgia, between Asia and Europe finds its resonance in Georgia's literature, determined by both eastern as western influences. However, it is not true that it's purely a synthesis of eastern and western elements. The initial phase, going back to antiquity, is still unknown territory for modern scholarship. These words are quoted from Elguja Khintibidze's introduction to the book "Georgian Literature in European Scholarship" a monograph on Georgian literature, to which have cooperated different international scholars and authors.

The work was accomplished in libraries of Tbilisi, Berlin, Rome, Vatican, London, Oxford and Paris. Khintibidze is director of the Centre for Kartvelian Studies at Tbilisi State University. Kartvelology or study of Georgian culture is a quite young lot at the scientific tree. It comprises a number of disciplines such as history, language, literature and art of Georgia. The reason why the academic research of the Georgian culture took such a late start is that Georgia found itself in a volatile political situation since the second half of the XIII century. In Europe, Kartvelology really got started at the end of the XVIII century. From different sides, the interest for Georgia increased, especially for its tragic and heroic past, the unique characteristics of its language, its Christianity and the Georgian Orthodox Church.

This book represents the first attempt to catalogue and sys-

**Georgian Literature in European Scholarship*, edited by Elguja Khintibidze, 2001, 390p., pb. index, bibl, price 90 Swiss Francs (ISBN 90-256-1148-6), Adolf M. Hakkert Publisher, Amsterdam, e-mail: willem@dia1.eunet.es; website: www.tte.nl/hakkert

tematize Georgian literature. Bibliographies are figuring of books which were published in Europe on Georgian literature in German, French, English and Italian as well as translations of Georgian literature into the same languages. The book also includes the history of Georgian literature research in Europe. The book is divided into 4 chapters:

1. History of Research of Georgian literature in Europe.
2. Georgian literature in German, French, English and Italian.
3. Towards the scholarly value of Georgian literature in Europe.
4. Bibliographies: a) Study of Georgian literature by European scholars; b) Translations of Georgian literature in European languages.

Finally, there is an index and a list of titles.

This detailed work offers an extremely rich source of information on Georgian literature. We can read how considerable is Georgian literature, who has done research, when and where. We read all titles, often followed by a short resume of the contents and which translations do exist. The book is very valuable and not in the last place for Dutchmen, as there is hardly any information in the Dutch language on Georgian literature. Not even a single book title has been translated into Dutch language, leave alone a booklet of Georgian fairy tales. Now at least we can suffice with translated literature in for example English or German language. In this way, we can learn about a great number of titles which have been published since the fifties and which can be consulted in libraries or in some cases ordered with the editor.

Guided by this book we can explore literary Georgia and meet interesting surprising facts. For example on the beauty, determination and cleverness of the Georgian women in the "hoofse" (courtly) roman in France. Two short stories on the adventures of Georgian and Circassian women were published in 1695 and 1696 by a certain Jean Batista Chevrement who printed his books anonymously. A novel in the same style, "Abdeker, ou l'art de conserver la beauté", published in Paris in 1748 and probably written by Antoine le Camus, deals with a beautiful Georgian lady – Fatima. The same motif returns in two XVIII century novels by Barthelemy Marmont du Hautchamp: "Rethima, ou la belle Géorgienne" and "Histoire de Ruspia, ou la belle Circassienne".

In the play "King and non-King" of the British authors Francis Beaumont and John Fletcher, which has been inspired by classical

sources, the main character is the Georgian King Arbasia who is fighting against the Armenian King Tigranes. The play was performed in London in 1611. Europe got shaken up by the news of Shah Abbas who murdered the Georgian Queen Ketevan in an abominable way. She was King Teimuraz I's mother. In 1633, a special brief on the martyrdom of Ketevan was printed in Oxford, written down by the monk Gregorius. In 1657, the German poet-author Andreas Gryphius published a five act tragedy "Catharina von Georgien oder Bewährte Beständigkeit" which was cum laude accepted over all Europe. In the work of the French authors Gillet de la Tessonnerie, "Le triomphe des cinq passions" (1642) and Crébillon, "Radamiste et Zénobie" (1711) the place of activity is Georgia and mid 17th century. A Georgian element appears in the work of the British author William Collins "Abra, or the Georgian Sultana". Early 19th century, the British romantic poet Thomas Moore sang a song to a Georgian girl in his "Lalla Rookh: an Oriental Romance" (1817) and in 1761 the Italian playwright Carlo Goldoni wrote "La bella Georgiana" which was performed in Venice. These are just a few examples of Georgia's influence on European literature.

Another critical remark: the book could have benefited from an extra corrector in order to avoid the number of misprints and slips of the pen.

IV საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი

2002 წლის 21-დან 25 მაისამდე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა მარი ბროსეს დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილ კავკასიოლოგთა საერთაშორისო კონფერენციას თემაზე: „ინტეგრაციისა და დეზინტეგრაციის პრობლემები კავკასიაში (ისტორია, თანამედროვეობა, პერსპექტივა)“, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობდა ქართველოლოგთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობა.

კონფერენციის მუშაობა 3 სექციაში მიმდინარეობდა: 1. კავკასიოლოგია; 2. მარი ბროსე და 3. ქართველოლოგია.

ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი 2004 წელს გამოაქვეყნებს IV საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალებს (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

„ქართველოლოგის“ წინა ნომერში (№9) გამოქვეყნდა სიმპოზიუმზე წაკითხული მოხსენებების რეზიუმეების ერთი ნაწილი. ამ ნომერში ვაგრძელებთ მათ გამოქვეყნებას.

THE 4TH INTERNATIONAL SYMPOSIUM ON KARTVELIAN STUDIES

On 21-25 May of 2002 Ivane Javakhishvili State University of Tbilisi hosted an international conference of Caucasologists dedicated to the 200th birth anniversary of Marie Brosset: *Processes of Integration, Disintegration in the Caucasus (History, Contemporaneity and Prospects)*, within which the 4th Symposium on Kartvelian Studies was held.

This year the Centre for Kartvelian Studies will publish the papers of the 4th International Kartvelological Symposium (in Georgian and English).

In the previous issue of *The Kartvelologist* we published summaries (in Georgian) of the papers of the Symposium; in this one we continue publishing them.

სტივენ რაპი (აშშ), კავკასიის ადგილი ევრაზიულ სამყაროში: „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“. „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ ტექსტმა, რომელიც ტრადიციულად ლეონტი მროველს მიეწერება, დიდი კამათი გამოიწვია. თუმცა, ერთი წახნაგი აღიარებულია თითქმის ყველა მეცნიერის მიერ, სახელდობრ, გვიან ანტიკური და შუასაუკუნეების კავკასიის კოსმოპოლიტური, ჯვარედინ-კულტურული ხასიათი. წინამდებარე სტატიაში არის ცდა, კავკასიის, და განსაკუთრებით ქართული „ქვეყნების“, უფრო დიდ ევროპულ სამყაროში მოქცევისა. ევროპისა და აზიის კიდევებზე მყოფმა კავკასიის ხალხებმა არა მარტო შექმნეს თავიანთი განსხავებული თვითყოფადობა უზარმაზარი იმპერიული დაწოლის პირისპირ, არამედ მონაწილეობა მიიღეს ინტენსიურ ჯვარედინ-კულტურულ დაპირისპირებაში, რომელიც ახასიათებდა ევრაზიას უძველესი დროიდან. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობ საქართველოს, სომხეთის, ჩრდილოეთ კავკასიის დრმა კულტურულ და სოციალურ კავშირებს სპარსეთის თანამეგობრობასთან.

ვიმ ლუკასენი (ჰოლანდია), ვიტსენის ჰოლანდიურ-ქართულ სიტყვათა ნუსხა Noord en Oost Tartarien-ში (ამსტერდამი 1705, გვ. 506-514), აღჭურვილი ქართული, ინგლისური და რუსული ეკვივალენტებით. ისტორიული მნიშვნელობის მქონე საკითხი, არის თუ არა აღექსანდრე ბაგრატიონი ერთ-ერთი ავტორი ჰოლანდიურ-ქართულ სიტყვათა ნუსხისა ვიტსენის წიგნში, საეჭვოა, რომ ოდესმე გადაიჭრას. რაც შეეხება საკითხს, თუ რომელ დიალექტზე საუბრობს ვიტსენის ინფორმატორი, მის გადაწყვეტას მივანდობ ერთ ქართველ დიალექტოლოგს, რომელსაც გადაეცემ ჩემი კომენტარების ერთ ნაწილს, გამოთქმულს ვიტსენის სიტყვათა

ნუსხის ქართული ნაწილის თავისებურებათა შესახებ. მასალა, რომელიც არსებითად წარმოადგენს კომენტარს სიტყვათა ნუსხის თითოეულ სტრიქონზე და შედგება ორმოცდაათზე მეტი გვერდისაგან, დღეისათვის საკმარისადაა შესწავლილი და თუ არ ჩავთვლით მის მცირე ნაწილს – 6 გაუგებარ და 25 სემანტიკური შესატყვისობის არმქონე სიტყვას – ალბათ არცაა მოსალოდნელი რაიმე ახლის აღმოჩენა მასთან დაკავშირებით. ეს კი ნიშნავს, რომ ნაშრომი მზადაა გამოსაქვეყნებლად.

მიშელ ვან ესბროკი (ბელგია), რას წარმოადგენდა უძველეს ქართულ ლიტურგიულ წყაროებში მოხსენებული ვარდობის დღესასწაული. კ. კეკელიძემ რამდენიმე გვერდიანი გამოკვლევა უძღვნა ვარდობის დღესასწაულის რაობას. იგი ოთხ არგუმენტს გვთავაზობს მისი იდენტიფიკაციისათვის ათენაგობის დღესასწაულთან. მაგრამ ამავე დროს მიუთითებს სამი ისეთი ფაქტის არსებობაზე, რომელიც ეწინააღმდეგება ამგვარ იდენტიფიკაციას. ამიტომაც მკვლევარი პრობლემას დიად ტოვებს. ზოგიერთი ხელმისაწვდომი მითითება, რომლებიც კ. კეკელიძის შრომების დროიდან არსებობს, არსებითად არ ცვლის მონაცემებს.

მოულოდნელი მიგნება ერთი საკითხავისა, რომელიც შემონახულია არაბულად სინას მთის N452 ხელნაწერში, საშუალებას იძლევა ყველა ის სიძნელე გადაგვრათ, რაზეც კ. კეკელიძე მიუთითებდა. ვარდობის დღესასწაული წარმოშობით წარმართული რომაული საიმპერიო და სამხედრო დღესასწაულია, რომელიც 13 მაისს აღინიშნებოდა.

არაბულ წყაროში 15 მაისის ერთ საკითხავში გვხვდება ეპიზოდი, რომელიც უკავშირდება წმ. პავლეს: წმ. პეტრე და წმ. პავლე განაწესებენ მარიამის დრესასწაულს 15 მაისს და რვა დღის განმავლობაში აშენებენ ეკლესიას დიდი მდინარის დამშრალ ფსკერზე. არაბული პომილია მოგვითხრობს პავლეს გამოცდაზე: იგი, იაკობის პროტოევანგელეს მიხედვით, იძულებული გახდა მდინარის წყალი დაეღია ეკლესიაში მარიამისა და იოსების ორდალიაზე უბიწო შობის დასადასტურებლად.

ეს ორი შტრიხი საშუალებას იძლევა გავიხსნათ ქართული წყაროები ვარდობის დღესასწაულის შესახებ, რომლებიც კ. კეკელიძემ აუხსნელი დატოვა.

ელიშერ ხოშტარია-ბროსე (თბილისი), მარი ბროსე და ქართველი საზოგადოება. მარი-ფელისიტე ბროსე (1802–1880) თავისი სამეცნიერო ინტერესებით და მოღვაწეობით თავისებურ მოვლენას წარმოადგენს: წარმოშობით ფრანგი, უცხოეთში (ჯერ საფრანგეთში შემდეგ რუსეთში) მცხოვრები, ევროპული ისტორიოგრაფიის მოწინავე დონეზე მდგომი მეცნიერი – ორიენტალისტი, ერთდროულად ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლადაც გვევლინება. საქართველოს ისტორიის წყაროების („ქართლის ცხოვრება“, დოკუმენტები და სხვა) გამოვლენის, შესწავლის და გამოცემის მხრივ მარი ბროსე ვახტანგ VI-ის, მის „სწავლულ კაცთა“ და ვახუშტი ბატონიშვილის საქმის გამგრძელებელი იყო და ეს საქმე ახალ საფეხურზე თუ ხარისხში აიყვანა. თავის მხრივ, მარი ბროსე წინამორბედი და აღმზრდელი იყო ქართველ ისტორიკოსთა ახალი თაობისა, მათ შორის ყველაზე გამორჩეულის – დიმიტრი ბაქრაძის, რომელიც არის ახალი დროის ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი წარმომადგენელი. ისტორიკოსები მარი ბროსეს დედაწეს ქართულ ისტორიოგრაფიას მიაკუთვნებენ, მაგრამ საერთოდ ქართული საზოგადოებრივი აზრიც მას „თავისიანად“ მიიჩნევდა და აყენებდა „ერზე მზრუნველ“ ადამიანთა შორის, მოიხსენიებდა იმათთან ერთად, ვინც თავიანთი „მოღვაწეობით ემსახურებოდნენ ქართველ ხალხს“ (ნ. ლომოური).

მარი ბროსეს მჭიდრო კავშირი და საქმიანი თუ მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა თავის თანამედროვე ქართული საზოგადოებრიობის ბევრ წარმომადგენელთან, როგორც უფროსი თაობისა (თეიმურაზ ბატონიშვილი, პლატონ იოსელიანი), ასევე შედარებით ახალგაზრდებთან, ვისაც გაეცნო და დაუახლოვდა საქართველოში სამეცნიერო მივლინებით ყოფნისას (1847–1848). ესენი იყვნენ: რ. ერისთავი, შემდეგ დ. ბაქრაძე და სხვები. თუკი თეიმურაზ ბატონიშვილი იყო მარი ბროსეს მეგობარი და მასწავლებელიც ქართული ენის სიძნელეების შესწავლაში, პ. იოსელიანი და სხვა ქართველები ბევრად იყვნენ დავალებულები ბროსესაგან თავიანთ მუშაობაში – საქართველოს მატერიალური თუ სულიერი კულტურის ძეგლების მოძიებისა და შესწავლის საქმეში (რჩევა-დარიგებანი, ნაშრომების პეტერბურგის აკადემიის ორგანოებში გამოქვეყნება, ექსპედიციების მოწყობაში ხელის შეწყობა...).

თავისი სამეცნიერო დედაწესით (საქართველოს უმნიშვნელოვანესი ისტორიული და ლიტერატურული ძეგლების მოძიება, ფრანგულად თარგმნა და გამოცემა, ევროპული

სამეცნიერო საზოგადოებისათვის მათი გაცნობა და სხვა) და ქართველებში მათი ქვეყნის წარსულისადმი ინტერესის გაცხოველებით, რაც ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას უწყობდა ხელს, მარი ბროსეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

კონსტანტინე ჭრელაშვილი (თბილისი), აკად. მარი ბროსე და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიის სათავეები. 1847 წელს რაფიელ ერისთავმა მარი ბროსეს გააცნო მღვდელი იობ ცისკარიშვილი, რომელმაც თავისი ფართო განათლებით მასზე მაღალი შთაბეჭდილება დატოვა.

ი. ცისკარიშვილმა კარგად იცოდა წოვა-თუშური ენა, როგორც ამ ენობრივი კოლექტივის წარმომადგენელმა. მარი ბროსეს დავალებით და მისი კონსულტაციებით ი. ცისკარიშვილმა შეადგინა წოვა-თუშური (ბაცბური) ენის გრამატიკა. მარი ბროსემ ეს ხელნაწერი გრამატიკა ჩაიტანა სანკტ-პეტერბურგში და გადასცა აკად. ანტ. შიფრენს, რომელმაც ამ გრამატიკის საფუძველზე შეადგინა გერმანულ ენაზე იმ დროისათვის მაღალ მეცნიერულ დონეზე „გამოკვლევა თუშური ენის შესახებ“. გამოქვეყნდა 1856 წელს პეტერბურგში.

ანტ. შიფრენის ამ მეტად მნიშვნელოვანი გრამატიკის შექმნას საფუძველად უდევს ი. ცისკარიშვილის ხელნაწერი გრამატიკა, რომელიც აკად. მარი ბროსეს უშუალო კონსულტაციებით დაიწერა.

აქედან გამომდინარე, მთის კავკასიური ენების პირველი გრამატიკის შექმნაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მარი ბროსემ.

ჰრანია ბაირამიანი(სომხეთი), ლიტერატურის კორიფეთა მეგობრობა კულტურათა დაახლოების მნიშვნელოვანი ფაქტორია (ელიშე ჩარენცი და ტიცინან ტაბიძე). ელიშე ჩარენცი, რომლის ლიტერატურული ნათლობა – პირველი ლექსის გამოქვეყნება და

მისი როგორც ნიჭიერი პოეტის აღიარება – თბილისში მოხდა, ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ადგილობრივ ლიტერატურულ ცხოვრებაში და, ბუნებრივია, დაუახლოვდა ქართული ლიტერატურის და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებს; მათ შორის განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირდება ტიციან ტაბიძესთან.

თავიანთი ქვეყნების ამ ორმა პატრიოტმა პირადული ადამიანური ურთიერთობებით და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი საქმიანობით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენი ხალხების დაახლოების, გაცნობის, კულტურული და მეგობრული ურთიერთობების გაღრმავების საქმეში. მათი ურთიერთობა სცილდება პირადულ ურთიერთობათა ფარგლებს და საერთო-სახალხო მნიშვნელობას იძენს.

ჰომეროსი, არისტოტელე და სიუჟეტის ბანვითარების კომპოზიციური თავისებურება “ვეფხისტყაოსანში”

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ჰომეროსის პოემები ეპიკური პოეზიის კლასიკური ნიმუშია. არისტოტელეს “პოეტიკა” კი – ის თეორიული ხასიათის ნაშრომი, რომელშიც ჰომეროსის ეპოსის პირველი ჰეშმარიტად ფილოლოგიური ანალიზია წარმოდგენილი. როგორც ერთ, ისე მეორე ანტიკურ ავტორთან “ვეფხისტყაოსნის” შედარება-შეჯერების პროცესი ქართველმარუსთველოლოგებმა საკმაოდ დიდი ხნის წინ დაიწყეს. დღესდღეობით კი კვლევის აღნიშნული პროცესი თანდათანობით უკვე უცხოელი მკვლევარებისა და მკითხველთა ფართო წრეების თვალთახედვის არეშიც ექცევა.¹

ჩვენი აზრით, ორი განსხვავებული ეპოქის ეპიკოსის პოემების ურთიერთმიმართების საკითხის გასარკვევად საჭიროა, რომ მსგავსება ნაჩვენები იქნეს კომპოზიციური ორგანიზაციისა და გმირთა ინდივიდუალიზაციის იმგვარი **სპეციფიკური** პრინციპების ურთიერთშედარებისას, რომლებიც, მხოლოდ (ან უპირატესად) მათი შემოქმედებისთვისაა დამახასიათებელი. ვინაიდან, კომპოზიცია და ინდივიდუალიზაცია სწორედ ის ორი უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რომლებიც განმსაზღვრელია ამა თუ იმ ეპიკური ტრადიციის ფორმირების პროცესისათვის. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც კვლევა-ძიების აღნიშნული მიმართულებით წარმართვით, ვფიქრობთ, უფრო თვალნათლივ გამოჩნდება, ერთი მხრივ, ის, რაც რუსთველს უცვლელად უმემკვიდრია ჰომეროსისაგან, როგორც მის ეპოქამდელი ეპიკური ტრადიციიდან, და მეორე მხრივ, ის ახალიც, ნოვატორულიც, რაც ახასიათებს “ვეფხისტყაოსანს”, ჰომეროსის შემდგომი ეპიკური

¹ ასე მაგალითად, აღნიშნული საკითხის შესახებ საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია მოცემული Neue Pauly-ს უკანასკნელ ხანებში გამოსულ “ანტიკურობის ენციკლოპედიაში” (იხ.: Der Neue Pauly, Enzyklopädie der Antike. Rezeptions- und Wissenschaftsgeschichte, Hrsg. H. Schneider, Stuttgart, Weimar, 1996..., ტომი 14, სვეტი 133-134. სტატიის ავტორია რისმაგ გორდუზიანი. შემოკლებული ქართული ვარიანტი იხ.: რ. გორდუზიანი, ბერძნული ლიტერატურა, 1 ტომი (ელისური ეპოქის ეპოსი, ლირიკა, დრამა), თბილისი, 2002, გვ. 133)

ტრადიციისაგან განსხვავებით.

როდესაც ჰომეროსისა და რუსთველის მსგავსებაზე ვსაუბრობთ, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ ერთ გარემოებას: თუკი რუსთველმა მართლაც იცოდა ჰომეროსის პოემები, ისინი მას უნდა სცოდნოდა, უპირველეს ყოვლისა, არისტოტელეს “პოეტიკის” საშუალებით (ქართველ ფილოლოგებში დღესდღეობით უკვე აღარ იწვევს ეჭვს ის ფაქტი, რომ რუსთველი კარგად იცნობდა არისტოტელეს ფილოსოფიურ ნაშრომებს და მათთან ერთად “პოეტიკასაც”). როგორც ცნობილია, “პოეტიკაში” არისტოტელე საკმაოდ ვრცლად აანალიზებს “ილიადასა” და “ოდისეას”. განსაკუთრებით კი აღნიშნავს მათ სიუჟეტურ-კომპოზიციურ ერთიანობას, რასაც, მისი აზრით, ანალოგია არ ეძებნება სხვა ბერძენ ეპიკოსთა შემოქმედებაში. არისტოტელეს აღნიშნული თვალსაზრისის საფუძველზე საზოგადოდ ანტიკური ეპოსის განხილვისას თანამედროვე ჰომეროლოგები ერთმანეთისაგან განასხვავებენ, ერთი მხრივ, პოეტური ერთიანობის არ მქონე ე.წ. ქრონოგრაფიულ და მეორე მხრივ, პოეტური ერთიანობის მქონე ჰომეროსისეულ ე.წ. დრამატულ კომპოზიციებს. “ვეფხისტყაოსნის” აღნიშნული კუთხით შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ რუსთველის მიერ “პოეტიკის” ცოდნა, რუსთველოლოგიაში აქამდე გავრცელებული შეხედულებისაგან განსხვავებით, არ მუდგენდება მხოლოდ პროლოგში მის მიერ გამოთქმულ დებულებაში პოეზიის ფილოსოფიურობის შესახებ – “შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,” (12,1)⁵, რაც “შემთხვევითი დამთხვევითაც” შეიძლება ახსნილიყო. რუსთველი, როგორც ზოგიერთი პროლოგისეული ტაქსისა და განსაკუთრებით, შაირობის თეორიის გადმომცემი სტროფების “პოეტიკასთან” შეჯერების პროცესში დავრწმუნდით, დეტალურად იცნობს და აშკარაა, რომ ითვალისწინებს კიდევ არისტოტელეს თვალსაზრისის ეპოსისა და დრამის ურთიერთმიმართების შესახებ. კერძოდ კი, იმგვარი ტაქსები, როგორიცაა – “აქამდის ამბად ნათქვამი, აწ

⁵ პოემის ტექსტის ციტაციისას სტროფების ხაზით უნდა აღვნიშნავს “ვეფხისტყაოსნის” ტექსტის დამდგენი კომისიის (“შეცნიერება”, თბილისი, 1988) გამოცემის მიხედვით. პოემის ტექსტიდან ცალკეული საკვანძო სიტყვების ჩვენული ინტერპრეტაციის შესახებ ვმსჯელობთ შესაბამის სქოლიოებში. აღნიშნული ინტერპრეტაციები წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია მოკლედ, ფაქტობრივად, დასკვნების ფორმით. მათი ვრცელი დასაბუთებისათვის იხ. ჩვენი სტატიები: “სტრუქტურული სიმეტრიის კომპოზიციური პრინციპი და <<ვეფხისტყაოსნის>> დასასრულის პრობლემა”, “თსუ შრომები” (იბეჭდება); “არისტოტელეს <<პოეტიკა>> და რუსთველის “შაირობის თეორია”, “ლიტერატურული ძიებანი” (იბეჭდება).

მარგალიტი *“წყობილი”* (7,4); “არ ძალუც *სრულქმნა* სიტყვათა”, გულისა გასაგამირეთა” (16,2) და განსაკუთრებით, “გრძელი სიტყვა *მოკლედ ითქმის*”, შაირია ამაღ კარგი” (12,4) –, ვფიქრობთ, აშკარად მიუთითებენ რუსთველის მიერ ე.წ. “ჰომეროსული ერთიანობის” შესახებ არისტოტელეს მიერ გამოთქმული თვალსაზრისის ცოდნასა და მის პრინციპულ გაზიარებაზე. მაგრამ ეს თეორიული ცოდნა “ვეფხისტყაოსანში” პრაქტიკულადაცაა რეალიზებული. მხედველობაში გვაქვს ამ პოემისათვის უდაოდ დამახასიათებელი კომპოზიციური ერთიანობა. იმ პრინციპების ანალიზისას, რომლებზეცაა დაფუძნებული “ვეფხისტყაოსნისეული” კომპოზიციური “წყობილობა” ანუ ერთიანობა, ვფიქრობთ, ნათლად ჩანს, თუ რა არის რუსთველთან ჰომეროსული ტრადიციიდან (რიგ შემთხვევაში არისტოტელეს გზით, დანარჩენ შემთხვევებში კი რაღაც სხვა – ან ასევე არაპირდაპირი გზებით, ანდა უშუალოდ ჰომეროსის პოემების ცოდნის გზით) ნამემკვიდრევი და რა წარმოადგენს ამ მხრივ “ვეფხისტყაოსნის” ავტორისეულ ინოვაციას. ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ იმ ერთმანეთის მსგავს სპეციფიკურ კომპოზიციურ პრინციპებს, რომელთა საშუალებითაც მიღწეულია, ერთი მხრივ, “ილიადისა” და “ოდისეის”, მეორე მხრივ კი, “ვეფხისტყაოსნის” პოეტური ერთიანობა.

1. არისტოტელეს მიერ შემჩნეული და გაანალიზებული ჰომეროსისათვის დამახასიათებელი დრამატული კომპოზიციის მსგავსად, რუსთველთანაც პოემის სიუჟეტის ერთი დიდი ნაწილი ასევე დრამატული კომპოზიციისათვის დამახასიათებელი პრინციპითაა აგებული. ვგულისხმობთ ტექსტის შემდეგ მონაკვეთებს: ხატავლი ძმების მიერ ავთანდილისათვის უცხო მოყმის ამბის მბობა, ტარიელის მიერ ავთანდილისათვის თავისი თავგადასავლის მოთხრობა (რომელშიც ჩართულია ასმათის მიერ

⁶ ცნებით “წყობილი” და განსაკუთრებით, მხატვრული ხასით – “წყობილი მარგალიტი”, ჩვენი აზრით, რუსთველი უნდა მიუთითებდეს თავისი პოემის კომპოზიციურ სიმწვობრზე ანუ ერთიანობაზე.
⁷ სიტყვებით – “არ ძალუც *სრულქმნა*”, ჩვენი აზრით, რუსთველი პროლოგის ამ ტაქსშიც კიდევ ერთხელ მიუთითებს თავისი პოემის კომპოზიციურ სრულქმნილობაზე.
⁸ ჩვენი აზრით, პროლოგში “შაირობის თეორიის ჩამოყალიბებისას ცნებაში “სიტყვა” რუსთველი გულისხმობს “ამბავს”.
⁹ ჩვენი აზრით, სიტყვებით – “გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის” რუსთველი იმას აცხადებს, რომ ვრცელი სიუჟეტური ამბავი შაირის საშუალებით მოკლედ, ე.წ. გაკწვლავად ანუ კომპოზიციური ერთიანობის დაურღვევლად გადმოიცემა.

ტარიელისათვის ნესტანის გადაკარგვის ამბის თხრობა, ისევე როგორც ფრიდონის მიერ ტარიელისათვის მის თავს გარდამხდარი და ზღვაში კიდობნის ნახვის ამბები), ავთანდილის მიერ ფატმანისაგან ნესტანის თავგადასავლის გაგება (შდრ.: „ოდისეაში“ ოდისეუსის მიერ ფეაკათვის თავისი თავგადასავლის უდიდესი ნაწილის მბობა; აგრეთვე მენელაოსის, ნესტორის, დემოდოკოსისა და გარდაცვლილ გმირთა სულების მონათხრობები; „ილიადაში“ კი სხვადასხვა გმირების მიერ „აქილეუსის რისხვის“ ეპიზოდამდე ტროის ომში მომხდარი მოვლენების გახსენება; ისევე, როგორც ამა თუ იმ გმირის ე.წ. წინასწარმეტყველებანი იმასთან დაკავშირებით, რაც უნდა მოხდეს მომავალში ტროის ომის მსვლელობისას). მიუხედავად ამგვარი მსგავსებისა, ბუნებრივია, რომ „ვეფხისტყაოსნის“, როგორც შუასაუკუნეების ქრისტიანული ლიტერატურის ძეგლის, სიუჟეტის დანარჩენი, არა ნაკლები სიგრძის მქონე ნაწილი, კერძოდ კი, ავთანდილის (და ამდენად, აგრეთვე არაბეთის სამეფოს) მთელი ამბავი ქრონოგრაფიული კომპოზიციისათვის დამახასიათებელი პრინციპითაა აგებული (გადმოცემს რამდენიმე წლის განმავლობაში ავთანდილის თავს გარდამხდარ და საზოგადოდ, არაბეთის სამეფოში მომხდარ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს **ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაურღვევლად**). ამ შემთხვევაში პოეტური ერთიანობის რღვევის (რის საშიშროებაზეც მიუთითებს არისტოტელე „პოეტიკაში“ ქრონოგრაფიულ პრინციპზე დამყარებულ ეპოსზე მსჯელობისას) არ დასაშვებად რუსთველი იყენებს იმ კომპოზიციურ თავისებურებას, რომელსაც არ იცნობს არა მხოლოდ ჰომეროსის ეპოსი, არამედ არც შემდგომი ეპოქების ბიზანტიური, დასავლეთ-ევროპული თუ აღმოსავლური ეპიკური ტრადიცია და ამდენად, აშკარაა, რომ წარმოადგენს თავად რუსთველისეულ ინოვაციას. ესაა იმ ე.წ. არაძირითადი ამბების დაუშთავრებლობა ან მაქსიმალურად მოკლედ გადმოცემა, რომელთა დასრულებაც არაა აუცილებელი ძირითადი სიუჟეტური ამბის გადმოცემისათვის. აშკარაა, რომ ეს პრინციპი რუსთველს გაცნობიერებული აქვს (იხ.: **“გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის**, შაირია აჰად კარგი” (12,4); **“აწ ამბავი სხვა** დავიწყო, – ყმასა *(ე.ი. ავთანდილს, – ზ.ბ.)* წავეყვე წამავალსა, –/...აწყა დავიწყებ ამბავსა, მის ყმისა *(ე.ი. ავთანდილის, – ზ.ბ.)* წამავლობასა” (811,1/829,1); **“რას ვაგრძელებდე?”** (640,1; 1166,1; 1555,1) და სხვა მსგავსი ტაეპები).

2. არისტოტელეს თანახმად, ჰომეროსი იღებს ერთ ე.წ. „ცენტრალურ მოტივს“ და მას ყოფს შინაარსობრივად

განსხვავებული სხვადასხვაგვარი ეპიზოდების ჩართვის გზით. თანამედროვე ჰომეროლოგიაში გავრცელებული შეხედულების თანახმად სწორედ ამგვარი საშუალებით ახერხებს ბერძენი ეპიკოსი რომ „ილიადაში“ „აქილეუსის რისხვის“ ჩვენებით გადმოცეს მთელი ტროის ომის მოვლენები; „ოდისეაში“ ოდისეუსის ითაკაზე დაბრუნების ჩვენებით კი – სხვა აქველ გმირთა თავიანთ მშობლიურ მხარეებში დაბრუნებანი. „ვეფხისტყაოსანში“ კი, კომპოზიციური თვალსაზრისით, ცენტრალური, ე.წ. საყრდენი ანუ არაბეთის სამეფოს ამბავი დაყოფილია ტარიელისა და ნესტანის თავგადასავალთან დაკავშირებული სხვადასხვაგვარი ჩართული ეპიზოდებით. ამგვარი საშუალებით, ნაწარმოების კომპოზიციური ერთიანობის დაურღვევლად, ფაქტობრივად, ავთანდილისა და თინათინის მიჯნურობისა (სამიჯნურო დავალების – უცხო მოყმის პოვნის – შესრულების ჩათვლით) და ქორწილის ამბის თხრობის პროცესში გადმოცემულია ხატაელი ძმების, ტარიელისა და ნესტანის, ფრიდონის, ვაჭრებისა და მეკობრეების, ფატმანისა და ჭაშნაგირის და ქაჯების ამბები. მიუხედავად ამგვარი მსგავსებისა, აშკარაა განსხვავებაც, რაც ისევ და ისევ რუსთველისეულ ნოვატორობას უკავშირდება. ზემოაღნიშნული გზით „ილიადასა“ და „ოდისეაში“ მაინც მითოლოგიურად „ერთგვაროვანი“ ინფორმაციაა გადმოცემული, რომელიც თქმულებათა ერთსა და იმავე (შესაბამისად, ტროის ომისა და გმირთა დაბრუნებების) წრეშია მოქცეული და ამდენად, მსმენელში/მკითხველში არ იწვევს, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობით დეფინიციას თუ გამოვიყენებთ, ე.წ. სიუჟეტური მრავალპლანიანობის განცდას. თითქოს, მსგავსი ვითარებაა „ვეფხისტყაოსანშიც“. მასში არსებული ორი ძირითადი (და ურთიერთპარალელური) სიუჟეტური ამბავი (ავთანდილის და ტარიელის) და მით უმეტეს, სხვა სიუჟეტური ამბები (ფრიდონის, ფატმანის, ქაჯთა და სხვ.) ჯერ კიდევ არაა ბოლომდე ერთმანეთისაგან გამიჯნული და ამდენად, ისინი ერთი საერთო სიუჟეტური ხაზის ფარგლებში არიან მოქცეული. მიუხედავად ამისა, „ვეფხისტყაოსანში“ კომპოზიციურად ძირითად ანუ არაბეთის სამეფოს ამბავში სხვა სამეფოების ამბების – უპირველეს ყოვლისა, ინდოეთის სამეფოს მსგავსი ამბისა და აგრეთვე დანარჩენ სამეფოთა აბსოლუტურად განსხვავებული ამბების – „ნაწვანა“ მსმენელში/მკითხველში სწორედ ე.წ. სიუჟეტური მრავალპლანიანობის განცდას იწვევს. პოემის ეს კომპოზიციური თავისებურება გვაძლევს იმის უფლებას, რომ რუსთველის პოემა რენესანსის ეპოქისა და შემდგომი პერიოდების ევროპული ე.წ. მრავალპლანიანი რომანების ერთგვარ წინამორბედად მივიჩნიოთ.

რა თქმა უნდა, რუსთველს ამ მხრივ მოეძებნება ანალოგი მისი თანამედროვე ეპოქის ბიზანტიურსა თუ დასავლეთ-ევროპულ ეპიკურ ტრადიციებში. კერძოდ კი, XIII-XIV სს-ების ბიზანტიური სარაინდო რომანისათვის დამახასიათებელია მოხრობელთა იმდენად ხშირი მონაცვლეობა და მათ მონათხრობთა იმგვარი ურთიერთგადახლართვა, რომ ბოლოს მკითხველი უკვე ვეღარ ხვდება, ვის სიტყვებს უსმენს – თავად ავტორის, მთავარი გმირის თუ რომელიმე მეორეხარისხოვანი პერსონაჟის.⁷ მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტური თხრობა ზემოხსენებულ რომანებშიც ჯერ კიდევ ერთპლანიანია, ვფიქრობთ, უდაოა, რომ, “ვეფხისტყაოსნისაგან” განსხვავებით, მათი სიუჟეტურ-კომპოზიციური ერთიანობა დარღვეულია.

ქვემოთ უკვე იმ პომეროსისეულ კომპოზიციურ თავისებურებებს განვიხილავთ, რომელთა შესახებაც არისტოტელე არაფერს ამბობს (იხილეთ ახალი და უახლესი ხანის პომეროლოგიურ ნაშრომებშია გამოვლენილი) და რომლებიც ასევე ფიქსირდებიან “ვეფხისტყაოსანში”.

3. ათი წლის ხანგრძლივობის მქონე მოვლენები “ილიადაში” 51 (ზოგიერთი გამოკვლევის თანახმად, 52) დღის, “ოდისეაში” კი 40 დღის განმავლობაში მიმდინარეობს. “ვეფხისტყაოსანში” კი ასევე რამდენიმე წლის (დაახლოებით, ერთ ათეულზე ოდნავ მეტი) ხანგრძლივობის მქონე მოვლენებიდან, ჩვენი დაკვირვებით, მხოლოდ 43 დღის⁸ განმავლობაში მიმდინარე მოვლენებია **უშუალოდ** აღწერილი. მაგრამ ძირითადი თანხვედრა ამაში როდი მდგომარეობს. პომეროსის პოემების მსგავსად, რომლებშიც ზემოაღნიშნული დღეებიდან ზოგი ე.წ. სამოქმედოა, ზოგი კი – ე.წ. უმოქმედო, “ვეფხისტყაოსანშიც” ზემოაღნიშნულ 43 დღესთან ერთად, რომლებიც დროის სამოქმედო მონაკვეთთა დაწერილობით გადმოცემია, მოკლედია მოთხრობილი აგრეთვე იმ დღეების, თვეებისა და წლების შესახებაც, რომლებიც დროის უმოქმედო მონაკვეთების ამსახველ ეპიზოდებშია აღწერილი. უფრო მეტიც, “ილიადის” I და XXIV სიმღერების მსგავსად, რომლებშიც სამოქმედო და უმოქმედო დღეები ურთიერთმონაცვლეობენ, “ვეფხისტყაოსანშიც”, ოღონდაც მთელი პოემის მასშტაბით, დროის

⁷ შდრ.: ალექსანდრე ალექსიძე, ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო (XIII-XIV სს), თბილისი, 1976, გვ. 265-7, 288, 298. იქვეა დამოწმებული შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურაც.

⁸ არ გამოვირიცხავთ იმ შესაძლებლობას, რომ სხვა მკვლევარების მიერ ჩატარებული გამოთვლის შედეგად ეს რიცხვი რამდენიმე ერთეულით შემცირდეს ან, პირიქით, გაიზარდოს.

უმოქმედო მონაკვეთს ყოველთვის დროის სამოქმედო მონაკვეთი მოჰყვება და ამდენად, ამგვარ მონაცვლეობას კანონზომიერი და რეგულარული ხასიათი აქვს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში რუსთველისეული კომპოზიციური სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ უმოქმედო დროის მონაკვეთის ამსახველი და ამდენად, მოკლედ თქმული (შდრ. კიდევ ერთხელ: “გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის”) სცენებისაგან განსხვავებით, სამოქმედო დროის მონაკვეთის ამსახველი სცენები, რომლებიც, ჩვეულებრივ, სწორედ ძირითადი სიუჟეტური ხაზის განვითარებისთვისაა ხელშემწყობი, გრძელადაა თქმული [შდრ.: “...და გამოსცდის... / ...მელექსესა – ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა, / **რა მისჭირდეს საუბარო** და დაუწყოს ლექსმან ლევა” (13,1/3-4); “მოშაირე არა ჰქვიან, **ვერას⁹ იტყვის** ვინცა გრძელად” (17,4)]. ეს კომპოზიციური თავისებურება, რაც გრძელი ამბის მოკლედ თქმის პროცესში, **საჭიროებისამებრ, ზოგჯერ გრძელადაც** თქმის აუცილებლობას ნიშნავს, აგრეთვე გაცნობიერებულია პოეტის მიერ (იხ. კიდევ ერთხელ: 12,4; 13,1/3-4; 17,4 და “ამის მეტსა არას გკადრებ, **არ მოკლესა, არცა გრძელსა**” [1518,1]).

4. “ილიადისა” და “ოდისეის” შემადგენელი კომპოზიციური ნაწილების განხილვისას პომეროლოგები აფიქსირებენ სხვადასხვა სიგრძის ანუ ზომის მქონე კომპოზიციურ ერთეულებს, რომლებიც ტექსტის შინაარსობრივად თვითდასრულებულ, რამდენიმე სცენისაგან შედგენილ მონაკვეთებს წარმოადგენენ და არქიტექტონურად ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან სტრუქტურული სიმეტრიის ე.წ. გეომეტრიული საბერძნეთის ხანის (X-VIII სს.) ხელოვნებისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა პრინციპის საშუალებით. მათ შორის ძირითადია შემდეგი პრინციპები: 1) წრიული კომპოზიციური პრინციპი, რომლის დროსაც ორ ან ორზე მეტ ურთიერთმომიჯნავე სცენას (აბგ...) მოჰყვება იმავე რაოდენობის მსგავსი (კერძოდ კი, თემატური თვალსაზრისით, იდენტური ან დიამეტრულად განსხვავებული) სცენები, მაგრამ **შებრუნებული თანმიმდევრობით** (...გ'ბ'ა'), მათ შორის კი ფიქსირდება კიდევ ერთი განსხვავებული – სიმეტრიის დერძის

⁹ ჩვენი აზრით, სიტყვებით – “...და გამოსცდის... / ...მელექსესა – ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა, / **რა მისჭირდეს საუბარო** და დაუწყოს ლექსმან ლევა” რუსთველი საუბრობს იმის შესახებ, რომ პოეტი გამოიცდება მაშინ, როდესაც რაიმე კონკრეტული მიზნის გამო **სჭირდება** სათქმელის გრძელად გადმოცემა ანუ გრძელი ლექსების თქმა და “ხევა” და ამდენად, როცა მას უჭირს შესაფერისი სიტყვების მიგება ანუ ლექსი უწყებს “ლევას”.

¹⁰ ჩვენი აზრით, სიტყვაში “ვერას” რუსთველი გულისხმობს არა იმდენად და მხოლოდ მთელ პოემას, არამედ მის შემადგენელ ცალკეულ ნაწილებს.

ფუნქციის მქონე – სცენა (დ). ზემოაღნიშნული სქემის სახით ამგვარად შეიძლება გადმოიცეს: აბგ... | დ | ...გ'ბ'ა'; 2) პარალელური დაყოფის კომპოზიციური პრინციპი, რომლის დროსაც ორ ან ორზე მეტ ურთიერთმომიჯნავე სცენას (აბგ...) მოჰყვება იმავე რაოდენობის მსგავსი (კერძოდ კი, თემატური თვალსაზრისით, იდენტური ან დიამეტრულად განსხვავებული) სცენები, მაგრამ **იმავე თანმიმდევრობით** (ა'ბ'გ'...), მათ შორის კი **უკვე აღარ** ფიქსირდება კიდევ ერთი განსხვავებული – სიმეტრიის დერძის ფუნქციის მქონე – სცენა. ზემოაღნიშნული სქემის სახით ამგვარად შეიძლება გადმოიცეს: აბგ... | ა'ბ'გ'...; 3) პირველი და მეორე პრინციპის კომბინირებით მიღებული ე.წ. შერეული კომპოზიციური პრინციპი: აბგ... | ...გ'ბ'ა' ანუ წრიული კომპოზიციური პრინციპი, რომელსაც პარალელური დაყოფის კომპოზიციური პრინციპის მსგავსად არ უფიქსირდება ცენტრალური (დ) ელემენტი და ამდენად, აბგ...–ს ...გ'ბ'ა' უშუალოდ, პირდაპირ მოსდევს. ჩვენი აზრით, სამივე ზემოაღნიშნული პრინციპი წარმოადგენს თავისი კლასიკური სახით “ილიადასა” და “ოდისეაში” ასევე მრავალგზის დაფიქსირებული ზეპირი პოეზიიდან მომდინარე ე.წ. რკალისმიერი კომპოზიციის (ა | ბ | ა') პომეროსის მიერ “ილიადის” წერილობითი გზით გაფართოებისას განვრცობილ ფორმებს. “ვეფხისტყაოსნის” კომპოზიციურ თავისებურებათა შესწავლის პროცესში დაერწმუნდით, რომ, არქიტექტონური თვალსაზრისით, პოემის შემადგენელ ერთეულებს წარმოადგენენ ზემოაღნიშნული მოკლედ და გრძლად თქმული ანუ ე. წ. უმოქმედო და სამოქმედო დროის მონაკვეთების ამსახველი შინაარსობრივად თვითდასრულებული ურთიერთმომიჯნავე ეპიზოდების წყვილები. ამგვარი წყვილები კი, პომეროსის პოემების მსგავსად, წარმოადგენენ იმ კომპოზიციურ ერთეულებს, რომელთა საშუალებითაცაა აგებული მთელი “ვეფხისტყაოსნის” სიუჟეტი. რუსთველისეული ნოვატორობა კი ამ კონკრეტულ შემთხვევაში იმაში მდგომარეობს, რომ ზემოაღნიშნული მოკლედ თქმული ეპიზოდების გრძელთა შეცვლის პროცესი პოეტის მიერ იმდენადაა “გაბუნებრივებული”, რომ ის მსმენელისათვის/მკითხველისათვის სრულიად შეუმჩნეველი რჩება. ამგვარი კომპოზიციური მიზანი კი რამდენიმე შემთხვევაში მიღწეულია სტრუქტურული სიმეტრიის პომეროსისეული და ამდენად, რუსთველისათვის ტრადიციული პრინციპების (აბგ...|...გ'ბ'ა'; აბგ...|...ა'ბ'გ'...; აბგ...|...გ'ბ'ა') გამოყენებით (ამ მხრივ განსაკუთრებით შთამბეჭდავია სტრუქტურული სიმეტრიის პარალელური დაყოფის პრინციპზე დამყარებული ტარიელისა და ფრიდონის გაცნობის სცენა: 591-595/აბგდგ/ || 596-

607/ა'ბ'გ'დ'ე'ვ'). უმეტეს შემთხვევებში კი იგივე მიზანი მიღწეულია მარტივი კონტაქტური პარალელიზმის პრინციპის (ა | ა') თანმიმდევრული რეალიზებით. ეს პრინციპი, ტიპოლოგიური თვალსაზრისით, უნდა წარმოადგენდეს ზეპირი პოეზიიდან პომეროსის ეპოსსა და დასავლეთ-ევროპულ საგმირო ეპოსში ფორმის უცვლელად გადასული რკალისმიერი კომპოზიციის (ა | ბ | ა') და ამ უკანასკნელის ცვლილების შედეგად მიღებული ე.წ. პროლეფსისის ხერხის (ა | ბა)' წერილობითი გზით შექმნილი ანუ ლიტერატურული ეპოსის კომპოზიციურ საჭიროებებთან რუსთველის მიერ მაქსიმალურად მისადაგებულ ფორმას. ვფიქრობთ, ამგვარი “მისადაგება” კიდევ ერთ რუსთველისეულ ინოვაციად უნდა ჩაითვალოს.

თავისი პოემის არც ეს კომპოზიციური თავისებურება აქვს რუსთველს გაუცნობიერებელი და ამდენად, აღუნიშნავი. 133-ის “ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა”-ში “ხევა” ნიშნავს “უკან დახევას” ანუ ერთხელ მოკლედ უკვე თქმულის ხელმეორედ, მაგრამ ამჯერად უკვე გრძლად გადმოსაცემად სიუჟეტურად ერთგვარ უკან დახევას. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ე.წ. მარტივი კონტაქტური პარალელიზმი ანუ ა | ა', რომელშიც ზომით ე.ი. სიგრძით ა' უფრო ვრცელია, ვიდრე ა (ა<ა'). ხოლო ეს, თავის მხრივ, სწორედ მოკლედ თქმული ეპიზოდიდან, რომლის (ერთ-ერთი) ბოლო სცენაც (ა) არის, გრძლად თქმულ ეპიზოდზე, რომლის (ერთ-ერთი) პირველი სცენაც (ა') არის, გადასვლის პროცესის გაადვილების, “გაბუნებრივების” ხელშემწყობია.

“ვეფხისტყაოსნის” ტექსტში მარტივი კონტაქტური პარალელიზმის ჩვენ მიერ დაფიქსირებული რამდენიმე ათეული შემთხვევიდან ნიმუშის სახით ამჯერად განვიხილათ მხოლოდ ერთს¹². ესაა თინათინისაგან უცხო მოყმის პოენისათვის დათქმული სამწლიანი ვადის გასვლამდე ორი თვით ადრე შექმნილი მდგომარეობის გაანალიზება ავთანდილის მიერ (სტროფები 183 | 184-189). ჩვენი დაკვირვებით, კონტაქტური პარალელიზმის ამ

¹¹ რკალისმიერი კომპოზიციისა და პროლეფსისის მხატვრული პრინციპის შესახებ პომეროსის ეპოსსა და შუა საუკუნეების დასავლეთ-ევროპულ საგმირო ეპოსში დაწერილებით იხ.: Bernard Fenik, *Homer and the Nibelungenlied (comparative studies in epic style)*, Camb./Mass., and London, England, 1986.

¹² ქვემოთოყვანილ შემთხვევასთან ერთად დანარჩენი შემთხვევებისა და მათ ფუნქციითა შესახებ დაწვრილებით იხ. ჩვენს სტატიაში “მარტივი კონტაქტური პარალელიზმი და მისი ფუნქცია ევროპულ ეპიკურ ტრადიციებში”, ამირანი, (კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კულევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მონაბე), VI, მონრეალი-თბილისი, 2002, გვ. 114-174.

კონკრეტული შემთხვევის (ა:183 | ა':184-189) საშუალებით ერთმანეთზე ბუნებრივადაა გადაბმული პოემის ტექსტის შემადგენელი ორი კიდევ უფრო ვრცელი მონაკვეთი – ორი ეპიზოდი. პირველი ეპიზოდი – 2 წლისა და 10 თვის განმავლობაში ავთანდილის მიერ უცხო მოყმის უშედეგოდ ძებნა და მისი მძიმე სულიერი მდგომარეობა (175-183) – მოკლედია თქმული და დროის უმოქმედო მონაკვეთის გადმომცემია. ტექსტობრივად მისი დამასრულებელი სცენაა სწორედ პარალელიზმის ა ნაწილი ანუ 183-ე სტროფი. რაც შეეხება მეორე ეპიზოდს – რომელშიც დაწერილებითაა აღწერილი 1 დღის განმავლობაში ავთანდილის თავს გარდამხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენები /მათ შორის, ხატაელი ძმების საშუალებით მის მიერ უცხო მოყმის კვალის მიგნება/ (184-214) – ის გრძელადაა თქმული და დროის სამოქმედო მონაკვეთის გადმომცემია. ტექსტობრივად მისი დამწყებია პარალელიზმის ა' ნაწილი ანუ სტროფები 184-189. ამდენად, ვფიქრობთ, ნათელია, რომ მოკლე ა-ს დუბლირება იგივე თემატურ-სიუჟეტური ინფორმაციის შემცველი, მაგრამ უკვე გრძელი ა'-ის სახით ხელს უწყობს ტექსტის მოკლედ და გრძელად თქმული ეპიზოდების ბუნებრივ მონაცვლეობას ანუ პირველი ტიპის ეპიზოდებიდან მეორე ტიპის ეპიზოდებზე “უმტკივნეულო” გადასვლას და ამავე დროს, კომპოზიციურად მათი ერთმანეთთან მტკიცედ დამაკავშირებელიცაა. ტექსტის ზემომოყვანილი ორი მონაკვეთის – (175-183/ა:183)–ისა და (/ა':184-189/184-214)–ის ერთობლიობა კი, თავის მხრივ, ქმნის შინაარსობრივად თვითდასრულებული ურთიერთმომიჯნავე ეპიზოდების წყვილს. ამგვარი წყვილები, ჩვენი აზრით, წარმოადგენენ იმ კომპოზიციურ ერთეულებს, რომელთა საშუალებითაცაა აგებული მთელი “ვეფხისტყაოსნის” სიუჟეტი.

ვფიქრობთ, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ, პროლეფსისის შემთხვევებთან ერთად, ტიპოლოგიური თვალსაზრისით, რუსთველისეული კონტაქტური პარალელიზმის (ა | ა') მსგავსია აგრეთვე (თუმცა, ბუნებრივია, განსხვავებული ფუნქციით გამოიყენება) ბიზანტიურ და დასავლეთ-ევროპულ სარაინდო რომანებში მედიევისტთა მიერ გამოვლენილი ე.წ. “ორმაგი წარმოსახვის” შემთხვევებიც.¹³

5. ჰომეროსის ეპოსში სტრუქტურული სიმეტრიის ყველაზე მნიშვნელოვან ნიმუშებად ჰომეროლოგების მიერ მიჩნეულია ე.წ. დისტანციური სტრუქტურული სიმეტრიის შემთხვევები. მათ შორის

¹³ იხ.: ა. ალექსიძე, მით. ნაშრ., გვ. 273-274, 297-298.

განსაკუთრებით საყურადღებოა “ილიადის” საწყისი და დამასრულებელი სცენების სიმეტრია, რომლებიც მთელი პოემის ერთგვარ კომპოზიციურ ჩარჩოს წარმოადგენენ.¹⁴ აღნიშნული სიმეტრია თანამედროვე ჰომეროლოგების მიერ “ილიადის” წერილობითი და არა ზეპირი გზით შექმნილობის დასამტკიცებელ უმნიშვნელოვანეს არგუმენტადაა მიჩნეული. ამდენად, “ილიადის” I და XXIV სიმღერები ურთიერთსიმეტრიულია. სწორედ ამგვარადაა რეალიზებული პოემის სიუჟეტის გამამთლიანებელი ის კომპოზიციური პრინციპი, რომელიც ოლიმპიელი ღმერთების ნება-სურვილით დაწყებული კონფლიქტის მათივე ძალისხმევით შედეგად შერიგებით დასრულებას ითვალისწინებს (აღნიშნული თვალსაზრისით, “ილიადის” მსგავსია “ოდისეაც”). ურთიერთსიმეტრიულია პოემის საწყისი და დამასრულებელი სცენები “ვეფხისტყაოსანშიც”. ეს სცენებია: პოემის დასაწყისში – ა(ლხინი არაბეთის სასახლის კარზე თინათინის გამეფების გამო), ბ(როსტევეანის მიერ ნადირობისას ნახულ უცხო მოყმესთან შეხვედრის უშედეგო მცდელობა), გ(თინათინის დავალებით, ავთანდილის წასვლა არაბეთიდან უცხო მოყმის საძებნელად); ხოლო პოემის ბოლოს – გ'(ავთანდილის დაბრუნება არაბეთში უცხო მოყმესთან – ტარიელთან ერთად), ბ'(როსტევეანისა და ტარიელის შეხვედრა), ა'(ლხინი არაბეთის სასახლის კარზე თინათინისა და ავთანდილის ქორწილის გამო). ამდენად, “ვეფხისტყაოსნის” ტექსტში “ილიადის” მსგავსი ზემომოყვანილი სიმეტრიის გამოვლენის შემდეგ, ვფიქრობთ, ეჭვს უკვე აღარ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ პოემის დასასრული სწორედ ავთანდილისა და თინათინის როსტევეანის მიერ გადახდილი ქორწილია და არა “ინდო-ხატაელთა ამბავი”. ამავე დროს, ზემომოყვანილი სიმეტრია მთელი პოემის სიუჟეტის კომპოზიციური გამამთლიანებელიცაა. კერძოდ კი, მისი საშუალებით “ვეფხისტყაოსნის” პირველ თავებში შეკრული სიუჟეტური კვანძი ბოლო თავებში იხსნება და ამდენად, როსტევეანისა და ვეფხისტყაოსანი უცხო მოყმის არშემდგარი შეხვედრითა და ავთანდილისა და თინათინის სიყვარულის გაცხადებით დაწყებული პოემა როსტევეანისა და ტარიელის შეხვედრითა და ავთანდილისა და თინათინის ქორწინებით სრულდება.

მაგრამ მსგავსება კიდევ უფრო შორს მიმავალია.

¹⁴ ესენია, ერთი მხრივ, I სიმღერის შემადგენელი უმნიშვნელოვანესი სცენები: ა(აქილევსი და თეტისი), ბ(თეტისი და ზევსი), გ(ღმერთების დავა ოლიმპოზე) და მეორე მხრივ, მათი სიმეტრიული, XXIV სიმღერის შემადგენელი უმნიშვნელოვანესი სცენები: გ'(ღმერთების დავა ოლიმპოზე), ბ'(ზეუსი და თეტისი), ა'(თეტისი და აქილევსი).

როგორც ცნობილია, “ილიადის” პირველ სიმღერაში დაწყებული კონფლიქტი (აგამემნონსა და ქრისესს/აპოლონს შორის) მალე სრულდება (რაც აგრეთვე სცენათა სიმეტრიითაა გამოხატული¹⁵), მაგრამ პირველი კონფლიქტი ხდება მეორე კონფლიქტის (აგამემნონსა და ამფერად, აქილეესს შორის) მიზეზი. ეს ახალი კონფლიქტი კი უკვე მთელი პოემის სიუჟეტური ხაზის წარმმართველია (მას მოჰყვება აქაველთა აურაცხელი გაჭირვებები, პატროკლეს სიკვდილი, ამის გამო აქილეესის შერიგება აგამემნონთან და რისხვის გადატანა ტროელებზე, რისი შედეგიც ჰექტორის სიკვდილია) და ბოლოს ისიც შერიგებით სრულდება (ღმერთების ნებით, აქილეესი ჰექტორის ცხედარს გადასცემს პრიამოსს). ამგვარადვეა “ვეფხისტყაოსანშიც”: პოემის დასაწყისში შეკრული კვანძი ავთანდილის მიერ უცხო მოყმის პოვნის შემდეგ, თითქოს, იხსნება, რაც ასევე ასახულია სცენათა სიმეტრიით: პირის-პირ შეხვედრის დროს ავთანდილი თინათინისაგან იღებს დავალებას, რომლის შესასრულებლადაც ტოვებს არაბეთს, პოულობს უცხო მოყმეს, იგებს მის ამბავს, ბრუნდება უკან არაბეთში, კვლავაც ხელდება პირის-პირ თავის მიჯნურს და უამბობს ტარიელის თავგადასავლს. თითქოს, აღარაფერი უდგას წინ ავთანდილისა და თინათინის ერთად ყოფნას. მაგრამ, “ილიადის” მსგავსად, აქაც პირველი კვანძის გახსნას მეორე კვანძის შეკვრა მოჰყვება, რომელიც უკვე დანარჩენი პოემის მთელი სიუჟეტური ხაზის წარმმართველია: ავთანდილი კვლავაც შორდება სატროსს, ისევ ტოვებს არაბეთს, რათა ტარიელის დახმარების შემდეგ ხელმეორედ დაბრუნდეს არაბეთში, ამჯერად უკვე უცხო მოყმესთან – ტარიელთან ერთად, რომლის შეხვედრაც როსტევეანთან არაბეთის სპასპეტის თავის დედოფალთან – თინათინთან შეუღლების მაჟწყებელია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში რუსთველისეული ნოვატორობა იმაში მდგომარეობს, რომ ეპიკური კონფლიქტის გადმოცემის პომეროსისეულ და ამდენად, უკვე ტრადიციულად ქცეულ მოდელს “ვეფხისტყაოსნის” ავტორი განსხვავებულად, ახლებურად იაზრებს. კერძოდ კი, მისი საშუალებით შლის სარაინდო რომანისათვის დამახასიათებელ სასიყვარულო ინტრიგას.

¹⁵ ერთი მხრივ: აპოლონის ქურუმი ქრისესი მიდის აგამემნონთან გამოსასყიდით თავისი დატყვევებული ქალიშვილის – ქრისეისის დასაბრუნებლად), ბ(აგამემნონი ღანძლავს ქრისესს და არ უბრუნებს ქრისეისს), გ(შეურაცხყოფილი ქრისესი ევედრება აპოლონს, რომ მან ჭირი დამართოს აქაველებს), დ(აპოლონი შეისმენს თავისი ქურუმის ევედრებას და მის მიერ გაჩენილი ჭირი მიჰინვარებს აქაველთა ბანაკში) და მეორე მხრივ: ა(აგამემნონის თხოვნით, ოდისეუსი მიდის ხომალდით ქრისესთან ძღვენის მისართმევად და ქრისეისის დასაბრუნებლად), ბ(ოდისეუსი, აგამემნონის სახელით, ქრისესს უბრუნებს ქრისეისს), გ(გახარებული ქრისესი ევედრება აპოლონს, შეწყვიტოს ჭირი აქაველთა ბანაკში), დ(აპოლონი შეისმენს თავისი ქურუმის ევედრებას და წყვეტს ჭირს).

წინამდებარე სტატიაში ჩვენ არ შევხებივართ პომეროსისა და რუსთველის პოემებისათვის დამახასიათებელ ისეთ მნიშვნელოვან კომპოზიციურ თავისებურებებს, როგორცაა ე.წ. დისტანციური პარალელიზმი, ეპიკური ფორმულები და სცენათა ტიპურობა ანუ მოდელირება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ აღნიშნული საკითხების განხილვა კომპოზიციური ორგანიზაციის თავისებურებებთან ერთად გმირთა ინდივიდუალიზაციის პრინციპების გაანალიზებასთანაცაა დაკავშირებული, რაც ჩვენნი წინამდებარე სტატიის მიზანს არ წარმოადგენდა.

რუსთველის პოემაში სიუჟეტის განვითარების კომპოზიციური თავისებურებების ზემოთ გაკეთებული ანალიზი, ვფიქრობთ, შემდეგი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა: “ვეფხისტყაოსანში” სტრუქტურული სიმეტრიის რამდენიმე, თუმცა პოემის კომპოზიციისათვის უადრესად მნიშვნელოვანი, ნიშნისა და მისი გამარტივებული ფორმის – მარტივი პარალელიზმის მრავალრიცხოვანი შემთხვევების დაფიქსირება გვაფიქრებინებს, რომ რუსთველს პომეროსის ეპოსზე წარმოდგენა უნდა ჰქონოდა არა მხოლოდ “პოეტიკიდან”, რომელშიც არისტოტელე არაფერს ამბობს პომეროსის ეპოსისათვის დამახასიათებელ სტრუქტურულ სიმეტრიასა და რკალისმიერ კომპოზიციასზე, არამედ უშუალოდ პომეროსის პოემებიდანაც ან კიდევ სხვა დამატებითი წყაროებიდან. არისტოტელეს “პოეტიკის” გარდა თუ კიდევ რა გზითა და ფორმით შეიძლებოდა გასცნობოდა რუსთველი პომეროსის ეპოსს, ეს უკვე სხვა საკითხია.

ამგვარად, “ვეფხისტყაოსანში” (რომლის სიუჟეტურ-კომპოზიციური ერთიანობაც, ისევე როგორც პომეროსის პოემებისა, ვფიქრობთ რომ, დღესდღეობით უკვე აღარ უნდა იწვევდეს ეჭვს) სტრუქტურული სიმეტრიის, რკალისმიერი კომპოზიციის (კვლილებით მიღებული მარტივი პარალელიზმისა და პომეროსის ეპოსისათვის დამახასიათებელი სხვა მსგავსი კომპოზიციური ელემენტების არსებობის ფაქტი უნდა აიხსნას რუსთველის მიერ პომეროსის ეპოსისა და არისტოტელეს “პოეტიკის” ცოდნით და ამ ცოდნაზე დაყრდნობით ანტიკური და შუასაუკუნეების ევროპული ეპიკური ტრადიციისათვის ახლებური ფორმისა და შინაარსის მინიჭების უდაოდ გაცნობიერებული სურვილით.

ზაზა ხინთიბიძე

HOMER, ARISTOTLE AND THE COMPOSITIONAL PECULIARITY OF
THE DEVELOPMENT OF THE SUBJECT IN *THE MAN IN THE
PANTHER'S SKIN*

Homer's poems are generally recognized to be classic examples of epic poetry, while Aristotle's *Poetics* a theoretical work in which the first genuine philological analysis of Homer's epic is presented. The process of comparing and juxtaposing *The Man in the Panther's Skin* with both Classical authors just cited was begun long ago by Georgian students of Rustaveli. This process of research is today gradually coming within the purview of foreign researchers and broad readership.¹

In my view, shedding light on the interrelationship of the poems of the epic writers of two different periods calls for the demonstration of their similarity through juxtaposition of such *specific* principles of their compositional organization and individualization of characters that are characteristic only (or predominantly) of their works. For composition and individualization are precisely those two most significant aspects that go into the shaping of epic tradition. In this concrete case too, conducting research along these lines will, I believe, shed light on what Rustaveli inherited from Homeric epic tradition preceding him, on the one hand, and on the new, innovative trend characteristic of *The Man in the Panther's Skin* and differing from post-Homeric epic tradition, on the other.

In discussing the similarity of Homer and Rustaveli, special attention should, in my opinion, be given to the following: if Rustaveli was indeed aware of Homer's poems, he must have known them primarily via Aristotle's *poetics*. (Today no one doubts among Georgian philologists that Rustaveli had good knowledge of Aristotle's works, including his *Poetics*.) As is known, in his *Poetics*, Aristotle gives a fairly exten-

¹ Thus, e.g. fairly extensive information about the subject is to be found in columns 133-134, vol. 14 of *Der Neue Pauly, Enzyklopädie der Antike. Rezeptions - und Wissenschaftsgeschichte*. Hrsg. H. Schneider, Stuttgart, Weimar, 1996. The article is authored by Rismag Gordesiani. For its abridged Georgian version see R. Gordeziani, *Greek Literature*, vol. I (Hellenic epic, lyric, drama), Tbilisi, 2002, p.133 (in Georgian).

sive analysis of the *Iliad* and the *Odyssey*, emphasizing their subject- and compositional unity which, in his view, has no analogue in the works of other Greek epic writers. Basing themselves on Aristotle's above mentioned point of view in discussing the Classical epic, modern Homerologists generally distinguish compositions lacking poetic unity, or so-called chronographic works, on the one hand, from their Homeric, so-called dramatic counterparts that have poetic unity, on the other. Study of the *MPS* from this angle has convinced me that Rustaveli's knowledge of Aristotle's *Poetics* is – contrary to the view current to the present day – revealed not only in his statement in the Prologue regarding the philosophicalness of poetry: “შირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი...” 12,1 – “Minstrelsy is, first of all, a branch of wisdom” (19)¹, which might be explained by “accidental coincidence” as well. A juxtaposition of some lines of the Prologue, and especially of the stanzas conveying the theory of minstrelsy with the *Poetics* has convinced me that Rustaveli had detailed knowledge of and, clearly, took into account Aristotle's point of view on the interrelationship of epic and drama. In particular, such lines as „აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“, 7,4 – Hitherto the tale has been told as a tale; now it is a pearl (of) measured² (poesy) (7); ‘არ ძალუც სრულქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა’, 16,2 – Lyrics which cannot command³ heart-piercing words⁴ (23); and especially „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“, 12,4 – In a few words⁵ he utters a long dis-

¹ Throughout this translation in quoting the text of the poem the number of stanza follows the Georgian edition published by the Commission for the Establishment of the Text of *The Man in the Panther's Skin* (Tbilisi, *Metsniereba*, 1988), while the number of stanza in Marjory Wardrop's translation is given in parentheses. My own interpretation of separate key words is given in respective footnotes. These interpretations are given in the present paper succinctly – actually in the form of conclusions. For their extensive argumentation see my papers: “The compositional principle of structural symmetry and the problem of the ending of *The Man in the Panther's Skin*”, Proceedings of TSU (in print); “Aristotle's *Poetics* and Rustaveli's theory of minstrelsy”, *Literaturuli dziebani* (in print).

² By the concept “წყობილი”, translated by Wardrop as “measured”, and especially through figured speech “a pearl (of) measured (poesy)”, Rustaveli, in my opinion, points to the *compositional ordering* or unity, of his poem.

³ By the phrase “არ ძალუც სრულქმნა” “cannot attain perfection”, translated by Wardrop as “cannot command”, Rustaveli once again would seem to point to the *compositional perfection* or unity of his poem.

⁴ “სიტყვათა” is translated as “words”. In my view, in conveying his theory of minstrelsy, in the Prologue, Rustaveli invariably implies “tale/story” under “სიტყვა”.

⁵ By „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“ (“a long story is told briefly”), translated by Wardrop as “In a few words he utters a long discourse”, Rustaveli seems to point out the merit of minstrelsy allowing to convey a long subject through minstrelsy briefly, i.e. without being prolix or without violating the compositional unity.

